პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 86 (18328) სამშაბათი, 13 აპრილი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

პირველი მაისის შესახვედრად

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის!

დაიჩქარეთ მისი მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მინების მელიორაციის ტემპი!

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

უკვე იგრძნობა მოზეიმე მაისის სუნთქვა — შრომის, გამარჯვების, მშვიდობის გაზაფხულის უმშვენიერესი თვის სურნელება და პათოსი. იგი თითოეულ მშრომელ საბჭოთა ადამიანს მიუახლოვა და გულთან მიუტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებმა 1982 წლის პირველი მაისისათვის; ამ მოწოდებებმა კომუნისტებში იმისათვის შემართა, რომ კელავაც იყვნენ სკკპ XXVI კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში.

პრესაში გამოქვეყნებული, რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული საზეიმოდ და საბრძოლველად კომუნიზმის მშენებელი ხალხის განმანყობელი პარტიის ეს მოწოდებები, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციისადმი რომ მიმართული, მოიცავს ბრძოლის, შრომის, შენების, მოელი ცხოვრების ყველა ასპექტს. ფოლადივით ცოცრადს და რკალივით მტკიცედ ნაქედ პარტიის საპირველმაისო მოწოდებათა თითოეული ლოზუნგი ფრთა არის ყოველი პატრიოტისათვის — იღეა: იშრომოს საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს, მამულის ძლიერებისათვის, რომლის გრძნობა ესოდენ ამაღლებულად აო. წარმოდგენილი ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში „მოგონებანი".

ჩვენი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შეგრძნება, დედის შეგრძნებასავით თან გვდევს მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე, გვაძლევს ძალას, შთაგონებას შემოქმედებითი შრომისათვის, თავდადებული ბრძოლისათვის. გულში სამშობლოს სიყვარულით სასიკეთოლოდ მიდიოდნენ ადამიანები მტერთან შესარკინებლად სამოქალაქო და დიდ სამამულო ომებში, გულში სამშობლოს სიყვარულით ქმნიან ისინი დღეს, აშენებენ, ნნავენ, თესავენ და მკიან, სამშობლოს სიყვარული გრძნობა აშრობს კოლხეთის ჭაობებს — ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში აყენებს მას, ნაღვაოტად ქცეულს, სოციალისტური სამშობლოს სიყვარული ათბობს ცივ ბაობზე მშრომელ ქართველ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, სოციალისტური სამშობლოს, თავისი მამულის სიყვარულმა მოაპოვინა ზედიზედ ცხრაჯერ ნოსელი დროშა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ საქართველოს მშრომელებს. სოციალისტური სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება — ეს ხომ ქართველი ხალხის საბრძოლო და შრომითი ლაშქრობაა და შედეგად გამარჯვებულია ამ ლაშქრობაში იმიტომ, რომ მას სარდლობს საქართველოს კომპარტია, მისი ნაცადი და ბოლო ათწლეულში განსაკუთრებულად ნაბრძოდი ცენტრალური კომიტეტი. ბოლო ათმა წელმა ნათლად გვიჩვენა საქართველოს მაგალითითაც, რომ პარტიის ძალაა ხალხთა ერთიანობა, ხალხის ძალაა პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობა.

აი ეს სული, ეს ამაღლებული შეგნება იქცა ჭეშმარიტ მატერიალურ და ფიზიკურ ძალად მამულის საკეთილდღეოდ. ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატით ეგებება ქართველი ხალხი ბუნების დიდი გაზაფხულის — მაისის ძღვენასოსლის. ამიტომაც არის იგი ბუნებისა და ხალხის ზეიმი. რესპუბლიკის მოქალაქეებმა უფრო აქტიურად იწყეს მონაწილეობის მიღება სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში. ეს ნათლად ჩანს ახლაც — ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდშიც. იმარჯვეს კომუნისტებისა და უპარტიოების ურთიერთ ბლოკი.

სამაისო ზეიმისათვის მზადებას და თვით ზეიმს უფრო მეტ ელფერს მატებს და პათოსსა სძენს ის, რომ წლევანდელი მაისობა ემთხვევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მესამოცე — საიუბილეო წელს. ამიტომაც განსაკუთრებით შთამაგონებლად ჟღერს პარტიის მოწოდებათა სიტყვები: გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ძმურ შეგობრობასა და ურყევ ერთიანობას! საბჭოთა ერების — ამ ძმების ერთიანობა ხომ ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა, კულტურული რევოლუციის მსვლელობაში იჭედებოდა და იგი უფრო განმტკიცდა დიდ სამამულო ომში, რომელშიც საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ოცდაშვიდმეტედ იზიმებს ჩვენი სოციალისტური სამშობლო პირველმაისობის მომდევნო კვირას.

საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკა, ყველა ხალხი საკუთარი, ახლა უკვე სამოცწლიანი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ მათი ეს ერთიანობა ის ძალაა, ჩვენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ნინსვლას რომ განაპირობებს. ამის შეგნებით და ღრმა რწმენით ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშრომელები უფრო მაღლა სწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას და დებენ პირობას, მოლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ 1982 წლის გეგმა, მეთრამეტე ხუთწლედის დავალებანი, განამტკიცონ შეგნებული კომუნისტური შრომის დისციპლინა კოლექტივებში. პარტია თავის საპირველმაისო მოწოდებებში მიესალმება და ადიდებს ნიოელდროშოან კოლექტივებს, ხუთწლედის გვარდიელებს. ცოტანი როდი არიან ასეთი გვარდიელები ჩვენს რესპუბლიკაში, და თვით საქართველოა გვარდიული რესპუბლიკა მისი ნაცადი კომპარტიის წინამძღოლობით.

ასეთი ამაღლებული განწყობილებით ხვდება მაისობას გარდამავალი ნიველი დროშით ცხრაგზის დაჯილდოებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მაშ, გაუმარჯოს მოაწილებულ პირველმაისობას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

მთავარი საზრუნავია ქართული ჩაის პრესტიჟი

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ფილმში დასახელებულია კონკრეტული მისამართები: ესენია ოჩამჩირის, გუდაუთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქობულეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობები და საწარმოები. ჩვენ არ ვიცით, ისხდნენ თუ არა დარბაზში ისინი, ვისაც უშუალოდ მიუძღვის ბრალი ჩაის მოვლა-მოყვანის აგრონესების ყველაზე ელემენტარული მოთხოვნების დარღვევაში. ალბათ არა. ამნაირ თათბირებზე ხომ, ჩვეულებრივ, საუკეთესოთაგან საუკეთესოებს, მოწინავეებს ინვევენ. ძალიან სამწუხაროა, რომ უგერგილო მუშაკების მაგივრად სხვები წითლდებოდნენ. მაგრამ, ალბათ, ბეერმა დამსწრემ ალნიშნა, რომ ასეთი ფაქტები გამონაკლისი არ არის.

სამწუხაროდ, უკანასკნელი წლების მანძილზე რაოდენობას გამოდევნებულმა დარგის მუშაკებმა გააუარესეს მრეწველობა. და როგორც შედეგი, დაიწყო ქართული ჩაის პრესტიჟის დაცემა. ეს მით უფრო დაუშვებელია, რომ დღეს ჩაისადმი მოთხოვნები განსაკუთრებით დიდია. მისი ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებაზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე.

ბევრია ჩაის ხარისხის გაუარესების მიზეზი. პრობლემის ზოგიერთ ასპექტში გარკვევის შესაძლებლობა თათბირის მონაწილეებს მისცა ფილმმა, რომელიც საქართველოს ტელევიზიამ სპეციალურად თათბირისათვის მოამზადა.

...სარეველები დაფარული ბუჩქები, პლანტაციები, უზარმაზარი ჩაის საარფი მანქანები, რომლებიც უბრალო დეტალების უქონლობის გამო ცდება, ბარბაროსული დამოკიდებულება უჩვეულოდ ნაზი ჩაის ბუჩქებისადმი, ავტომანქანების ქარავნები ჩაის ფაბრიკების ჭიშკართან, გადახურებული ფოთოლი, რომელიც კონვეიერზე მიდის, პირუტყვი პლანტაციებში, ნაგაალი და სასხლავები მკრეფავთა ხელში, რომლებიც არა მარტო ფუყეებს, არამედ ტოტებსაც ჭრიან... ეს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდია ფილმიდან — ფილმდოკუმენტიდან, ფილმ-ბრალდებიდან, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ამუქებს ზოგიერთი მომენტს, ასე უარყოფითს გაველინას რომ ახდენს ჩაის ხარისხზე.

ლიც 50-60 პროცენტით მეტ ხარისხოვან ფოთოლს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი ჯიშები. მწყობრში დგება ნედლეულის გადამუშავების ახალი სიმძლავრენი, შენდება პატარა ფაბრიკები. ერთი სიტყვით, დარგი ერთ ადგილზე არ დგას. საქმეს ეს როდია. საკითხის გადაწყვეტის გზა მნიშვნელოვანნილად, როგორც თათბირზე აღინიშნა, — ეს არის სახელმწიფო მიდგომა მეჩაიეობისადმი, მისი განვითარების საკვანძო საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა.

დღეს უფლება არა გვაქვს ვიმუშაოთ ისე, როგორც გუშინ ვმუშაობდით, თქვეს თათბირის მონაწილეებმა, რადგან ცხოვრება ახალ ამოცანებს გვისახავს, ახალ მოთხოვნებს გვიყენებს. ამიტომ ტრიბუნიდან გამოითქვა კონკრეტული წინადადებანი და რჩევა-დარიგებანი, დაისახა ჩვენი ეროვნული სიმდიდრის — ჩაის ხარისხის ამაღლების მაგისტრალური პრობლემის გადაჭრის გზები და საშუალებები.

სიტყვა ეძლევათ თათბირის მონაწილეებს

ბ. დ. ბეშლაძემ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი: ჩვეულებრივ ჩაის ხარისხის გაუარესებას პლანტაციების მოშალაკება და მრეწველობა ერთმანეთს აბრალებენ, იმის მაგივრად, რომ ერთობლივად გადაწყვეტონ მომწიფებული პრობლემები. შეთანხმებული მუშაობა, ერთმანეთის ინტერესების დაცვა. შესაძლებლობას მოგვცემს ოპერატიულად აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, ვეძიოთ და ვიპოვოთ კონვეიერის — პლანტაცია-ტრანსპორტი-ჩაის ფაბრიკა — მწყობრი მუშაობის ოპტიმალური ვარიანტები. ამისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ერთობლივი გრაფიკების შემუშავებას. მზა პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად რეზერვად მიგვანნია მეჩაიეთის ყველა რაიონში მართვის ავტომატიზებული სისტემის „ჩაის" დანერგვა, რომელიც ექსპერიმენტის სახით შარშან მოქმედებდა გალისა და ლანჩხუთის რაიონებში. მართალია, მართვის ავტომატიზებული სისტემის „რთველისაგან" განსხვავებით მისი დანერგვა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული — ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი ხომ თითქმის ექვს თვეს გრძელდება, მაგრამ მეცნიერებმა უნნა აფონ-დაფონონ ყველა ვარიანტი და მოგვცენ კონკრეტული რეკომენდაციები. მაშინ შეეძლებთ მობილურად გადავადგილოთ ტექნიკა და სამუალებანი, მთელი ძალ-ღონე მოკუხმაროთ წარმოების ჩამორჩენილ უბნებს.

და კიდევ ერთი რამ. წელს რესპუბლიკაში მაღალხარისხოვანი ჩაის ჯიშის „კოლხეთის" პლანტაციების ფართობი 1300 ჰექტარს მიაღწევს, აქედან 203 ჰექტარი საექსპლოატაციოდ გადაიცემა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და გიერთიანება „საქართველოს ჩაიმ" დაავალეს გალის, ოჩამჩირისა და ზუგდიდის რაიონებს ამ პლანტაციებში მოკრეფილი ჩაის ფოთოლი გადაამუშაონ და დაადასონ სხვა ნედლეულისაგან განცალკევებით და ეს ჩაი საკუთარი მარკით გამოუშვან. ეს გაზრდის სამეურნეო მუშაკთა პასუხისმგებლობას, დარაზმავს მათ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საჭიროა აგრეთვე ბოლო მოვუღოთ გაუპირობებას პლანტაციის მოვლასა და ფოთოლის კრეფაში, ვეფიქრობთ, რომ მეჩაიეობაში უნდა გავავრცელოთ ამბის რაოდენა მესამიდეთა გამოცდილება, სადაც თითოეულ ბრიგადაზე გაპირონვებულია ნათესების დიდი მასივი და იგი პასუხს აგებს არა მარტო აქ წარმოებული ყველა ოპერაციისათვის, არამედ საბოლოო შედეგისათვისაც.

ე. ს. ბასაზონია, სარეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" უფროსი: ჩვენ, გადამუშავებელი მრეწველობის მუშაკებს მიგვანნია, რომ ხარისხის პრობლემას გადაწყვეტს კომპლექსური ტექნოლოგიის დანერგვა, ჩაის მრეწველობის უნარჩენო წარმოებად გადაქცევა. შემიძლია ვთქვა, რომ ამისთვის ბევრი რამ კეთდება. კერძოდ, უკვე მიმდინარე წელს კომპლექსურ მექანიზაციაზე გადაგვყავს მთელი რიგი საწარმოები, ცხაკაია და ჩხოროწყუს რაიონებში საექსპლოატაციოდ გადასცემენ როგორც ჩაის გადამუშავების, ისე კონცენტრატების წარმოების ახალ სიმძლავრეებს. ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება მაზარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის და სხვა რაიონებში.

დიდ დახმარებას გვიწევენ მაკროფაბრიკები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ისინი ნაწილობრივ ანელებენ დაძაბულობას „პიკის" პერიოდში წამყვან საწარმოებში, მათი მუშაობის შედეგად შესაძლებელი ხდება მოკრეფილი ჩაის ფოთლის დიუყოვნებლივ გადამუშავება. ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში იმუშავებს უკვე 52 ასეთი ფაბრიკა, რომელსაც შეეძლებათ 65 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავება.

(დასასრული 3ე-2 გვ.).

ახლა გზა სატრანსპორტო ტრანსპორტისაგან განტვირთავს ქალაქს, საკურორტო ზონას დაიცავს ხმაურისაგან; ტრასა იწყება ქალაქის მიმდებარე საკურორტო სოფელ კილუნეთიდან, საიდანაც ლითონის ესტაკადით ადის სულ მაღალი მთებში და გრძელდება ქალაქის თავზე ზღვის დონიდან 150 მეტრის სიმაღლეზე. შემოსავლელი გზის საერთო სიგრძე 12 კილომეტრი და 600 მეტრია. ეს რესპუბლიკაში ყველაზე ლამაზი მაღალი მთის ტრასა იქნება. ხეობაში იგი გავა ფუნიკული ხიდ-ესტაკადებით, მთებში გვირაბებით.

1984 წელს ტრასაზე პირველი ავტომობილები გაიელს.

● ●

სურათზე: ბრიგადების ხელმძღვანელები, რომლებმაც შეეერთეს გვირაბები (მარცხნიდან): ბონდო ონიანი, შერან კოტიძე, ავთანდილ ედიბერიძე და გრიგოლ ლატარია.

ი. ბოსტონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შაბათობა გვისმობს

სიღნაღი

სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები აქტიურად ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 112 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობისათვის. განსაზღვრულია სამუშაოთა უნანი. მექანიზატორთა უმრავლესობა იმუშავებს დაზოგილი დიზელიანი ტრაქტორებით, ფ. პავლიაშვილი და ი. ბუბულაშვილი, გ. შიბაშვილი, ე. მოსულიშვილი და სხვები ვალდებულებას კისრულობენ ერთნამუშაოვრენ ნიადაგის დამუშავებისა და საგაზაფხულო კულტურების თესვის საწარმოო დავალებებს.

მეჭინდარეები, მეეინსპექტორები და კანტორის მუშაკები დაამუშავებენ ვენახების მწკრივთშორისებს, დაიცავენ ბოსტნეულს. თავიანთი ძირითადი მოვალეობის შესრულების შემდეგ მეცხოველეები კვლილმოაწყობენ ფერმების ტერიტორიებს, დარგავენ ხეხილსა და დეკორატიულ მცენარეებს.

ხობი

შაბათობაზე დღეს სოფელ საკიანოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები ძირითადად ხიმინდის თესვაზე იქნებიან დასაკმეტებული. ხუსხიანი ამინდისა და წვიმების გამო ეს საამუშაოები ჩვეულებრივზე გვიან აწყება. საწარმოო ბრიგადა, რომელსაც ხსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯ. ლომია მეთაურობს, 17 აპრილს გეგმის გადაჭარბებით ერთიორად მეტ ფართობზე დათესავს ხიმინდს. გადიდებული ვალდებულებანი აიღო ერეკლეოვან. შ. კინჭარაისა და გ. ჯიშკარიანის ბრიგადებმა. ხულ კოლმეურნეობაში ამ დღეს ხიმინდი დათესილია 90 ჰექტარზე, მაშინ როცა წვიფლებრივ დღეს 40-45 ჰექტარზე ითესება ხოლმე. საჯიანოელმა შესამინდეებმა გადაწყვეტეს მკაცრად დაიცვან სამუშაოთა შესრულების ხარისხის, მაადწიონ, რომ მთელ ნათეს ფართობს ხარისხის ნიშანი მიენიჭოს.

მისასალმებელი დეკეფა

ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნილამ სანჯივა რედის და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ინდირა განდის გაუგზავნეს დეპეშა, რომელიც ნათქვამია:

ჩვენს ქვეყნებს შორის ფიალმატიური ურთიერთობის დამყარების 35-ე წლისთავის აღსანიშნავად თქვენ და თქვენი სახით მეგობარი ინდოეთის მთავრობასა და ხალხს გულითადად მივესალმებით და ეულოცავთ საბჭოთა ხალხს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩვენი სახელით.

განვლილ პერიოდს ახასიათებს სხვადასხვა სფეროში საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის ფართო განვითარება. მშვიდობისა და პროგრესის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის, განიარაღებისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის საქმისადმი ჩვენი ერთგულება სასიკეთო გავლენას ახდენს აზიისა და მთლიანად მსოფლიოს ვითარებაზე.

რწმენას გამოთქვამთ, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებით განმტკიცებული ურთიერთობა კელავაც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის საკეთილდღეოდ.

გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენ, ბედნიერებასა და კეთილდღეობას დიდ ინდოელ ხალხს. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 1982 წლის 10 აპრილს 74 წლისა გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის აქტიური მონაწილე, საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ხაბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ჯანჯღავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი**	**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

ბატონ ვ. ნ. ჯანჯღავას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ნ. ჯანჯღავას დაკრძალვისათვის მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია ო. ე. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით.

ვ. ნ. ჯანჯღავას დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ქოსმონავტიკის დღის ზეამო

ვარსკვლავეთის სამუზეიდოო გზები

მუდმივმოქმედი ორბიტული კომპლექსები საბჭოთა კოსმონავტიკის მაგისტრალური მიმართულებაა

ეული პრაქტიკულ კოსმონავტიკას 25 წელი უსრულდება. მისი დაფუძნების დღედ ითვლება ისტორიული თარიღი — 1957 წლის 4 ოქტომბერი, როცა საბჭოთა კავშირში ორბიტაზე გაიყვანეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. სამ წელიწადნახევარი გავიდა და მოხდა კიდევ ერთი ღირსსასოვარი მოვლენა: პილოტირებული ხომალდით „ვოსტოკით" თავის ლეგენდარულ რეისში წაიყიდა დედამიწის პირველი კოსმონავტი იური გაგარინი. ამ სტარტით — 1961 წლის 12 აპრილ—დაიწყო კოსმოსში პილოტირებული ფრენის ერა. საბჭოთა კავშირში კოსმოსური კვლევის ორივე მიმართულება — თანამგზავრებით და პილოტირებული აპარატებით — გეგმაზომიერად ვითარდება, ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს. პირველმა თანამგზავრებმა გუეკვალეს ორბიტის გზა კოსმოსურ ზომალდებს. ახლა ბევრი კვლევა, კოსმონავტები რომ ეწევიან ორბიტულ სადგურებში, ხელს უწყობს სხვაგან მეურნეობაში გამოყენებითი დანიშნულების თანამგზავრთა სისტემების დანერგვას.

ხანგრძლივმოქმედ ორბიტულ სადგურს, როგორც „სალუტ-6"-ის ექსპლოატაციის გამოცდილება გვიჩვენებს, შეუძლია ბევრი საშეცნიერო და პრაქტიკული ამოცანა გადაწყვეტოს. ოცდაშვიდმა კოსმონავტმა, რომელთა შორის იყვნენ სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები, „სალუტ-6"-ის 676 ღღის ფრენის მანძილზე პილოტირებული რეიმში თოთ ხეთასზე მეტი ექსპერიმენტი შესრულა კოსმოსური ბუნებისმეცნიერების, ტექნოლოგიის, მედიცინის, ბიოლოგიისა და ასტრონომიის დარგში.

ოთხწელიწად-ნახევარია სადგური კოსმოსში მუშაობს. ახლა ორბიტული კომპლექსის შემადგენლობაში, რომელიც ავტომატური რეჟიმით მოქმედებს, მიმდინარეობს მეორე თანამგზავრის „კოსმოს-1267"-ის გამოცდა.

პილოტირებული ფრენის გარეკრაზე სპეციალისტთა შორის ზოგჯერ წამოიჭრებოდა ხოლმე კამათი: ადამიანი თუ ავტომატი? განა ღირს, ამბობდნენ წვინდა ავტომატური საშუალებები კოსმოსის ათვისების მოსმრენი, ადამიანები გაგგზავნით მათთვის ესოდენ მტრულ გარემოში? ან რა უნდა გაკეთოს „ადამიანმა კოსმოსური სიჩქარეების სამყაროში, როცა თავბრუდამსვევი სისწრაფით იცვლება მოკლეზები, როცა ათასეული უსიამოვნებას განიცდის უწონობის გამო? დრომ გვიჩვენა, როდენ მცდარი იყო საკითხის ასე დასმა, რადგან პასუხი ხხლოდ ერთია: ადამიანიც და ავტომატიც!

ამ ბოლო დრამდე ყოველი ორბიტული სადგური თავისებური ფართო პროფილის ლაბორატორია იყო, სადაც ერთდროულად მრავალი სამეცნიერო მიმართულებით წარმოებდა კვლევა. კოსმონავტიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მეშაობის ორგანიზაციისადმი ასეთი მიდგომა სავსებით გამართლებული იყო, უფრო მეტიც, მას ტამდენადმე „სალუტის" ტიპის მომდევნო სადგურებშიც განვაგრძობთ.

კოსმოსში ბევრია მშვიდობიანი, ყველასათვის სასარგებლო საქმეშაო. საბჭოთა კავშირი პრაქტიკულად ამტკიცებს, რომ ლენის ამ სარბიელზე ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან. „სალუტ-6", რომელმაც რვა საერთაშორისო ექსპედიციას უმასპინძლა, ინსტიტუტად გადაიქცა. იგივე შეიძლება ითქვას ვარსკვლავეთა ქალაქზე, სადაც ახლა მომზადდებას გადიან ფრანგი კოსმონავტები. საფრანგეთსა და ავსტრიაში დამზადებული ხელსაწყოები ოდვა ეკანასნელ საბჭოურ „ვეფრებზეზე", რომელებიც ამ ცოტა ხნის წინათ ახალი ჩინებული შედეგებით გაგვახარეს. მხოლოდ ასეთად — მშვიდობიანად, ინტერნაციონალურად უნდა დარჩეს კოსმონავტიკა.



ვლ. შაბალოვი,
ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კოსმონავტების მომზადების ხელმძღვანელი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი.

● ●

სურათზე: სსრ კავშირის სახელმო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე პავილიონ „კოსმოსში" გაიხსნა ექსპოზიცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიერ კოსმოსური სივრცის ათვისებას მიეძღვნა.

ვ. ხუსაინოვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მთავარი საზრუნავია ქართული ჩაის პრესტიჟი

(დასასრული)

უახლესი მოწყობილობით საწარმოთა ხელახალი აღჭურვის, ახალი ტექნოლოგიური ხაზების აგების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გარდა ჩაის ხარისხის გაუმჯობესების გადამწყვეტი ფაქტორია, უთუოდ, ჩაის ფოთლის უტარო გადაზიდვა. უკანასკნელი წლების პრაქტიკამ დამაჯერებლად ცხადყო ამ მეთოდის უპირატესობა, და მიმდინარე წლით დაწყებული ნედლეულის უტარო გადაზიდვას პრაქტიკულად რესპუბლიკის ყველა რაიონი აითვისებს.

გარდა ამისა. ხარისხზე დადებით გავლენას მოახდენს ჩაის ნახევარფაბრიკატის შესანახად განკუთვნილი სპეციალური ტარის წარმოებაც, რომლითაც უკვე აღიჭურვება ჩვენი საწარმოები.

წარმოების განახლების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდება დარგში ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა. მეცნიერთა ვალია, რაც შეიძლება სწრაფად გადაწყვიტონ ეს პრობლემა, მიაგნონ მის ყველაზე უფრო რაციონალურ გადაწყვეტას.

1985 წლისათვის გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეები 144 ათასი ტონით უნდა გაიზარდოს და წელიწადში 673 ათასი ტონა ჩაის ფოთლის გადამუშავებას მიაღწიოს. ამ მიზნით დასახულია ამ წლებში აიგოს 24 ახალი ჩაის ფაბრიკა, გაფართოვდეს პირველადი გადამუშავების 14 საწარმოს სიმძლავრეები.

სამუშაოთა დასახული კომპლექსის შესრულება ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის წარმატებული ბრძოლის საწინდარია.

ვ. რ. პაპუნიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი: ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული ჩაის ხარისხის ამაღლების პრობლემა, რომელიც აწუხებს აჭარაში ყველას, და მით უფრო ჩაის ფაბრიკების მუშაკებს, რადგან სწორედ ისინი აგებენ პასუხს საბოლოო პროდუქტისათვის. ამიტომაც ძირითად ყურადღებას ვაპყრობთ ჩაის წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას. მაგალითად, ქობულეთის 2 ფაბრიკაში ჩაის მრეწველობაში პირველად მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა ფოთლის საგრეხი ექსპერიმენტული, მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული ვერტიკალურ-კასკადური უბანი. იგი უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს, რადგან მისი მუშაობის რეჟიმი წინასწარ დაპროგრამებული იქნება.

შავი ბაიხაო ჩაის წარმოებაზე დასპეციალებული ქობულეთის საწარმოო გაერთიანების ყველა ფაბრიკა მაღალექსტრაქტული პროდუქციის წარმოების ახალ მეთოდზე გადაჰყავთ.

და ასეთი სიახლენი პრაქტიკულად ყველა საწარმოშია. ამავე დროს მიმდინარეობს მოძველებული მოწყობილობის შეკეთება და შეცვლა, რაც ხელს უწყობს ჩაის ფოთლის გადამუშავების მაქსიმალურ დაჩქარებას, მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ჩვენი ამოცანაა უკვე ამ სეზონში მივაღწიოთ დადებით შედეგებს.

ი. თ. თოდუა, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი: ჩვენი მეჩაიეები ბევრ პრეტენზიას უცხადებენ ჩაის საკრეფი ტექნიკის დამამზადებელ საწარმოებს. მაგალითად, ქარხანა „საქსოფლმანქანა" უშვებს ხელის ჩაის საკრეფ აპარატებს, რომლებსაც ბევრი ნაკლი აქვთ, ხშირად გამოდიან მწყობრიდან. ეს კი იწვევს მოცდენებს, სამუშაო დროის დანაკარგებს, რაც საბოლოო ანგარიშით გავლენას ახდენს მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხზე.

რაიონში მობილური ტექნიკის, მისი სათადარიგო ნაწილების ნაკლებობაც იგრძნობა.

ხ. კ. აიბა, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის სკკპ XXVI ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე: იმ ჩაის ფაბრიკის სადღეღამისო სიმძლავრე, სადაც ნედლეულს ვაბარებთ, 60-70 ტონას შეადგენს. ჩვენ კი ბევრად მეტ ჩაის ვკრეფთ. ასეთი შეუსაბამობა არა მარტო აუარესებს პროდუქციის ხარისხს, არამედ მნიშვნელოვნად აფერხებს ჩაის კრეფასაც, ამცირებს მოსავლიანობას, ამიტომაც ჩაის ფაბრიკის აშენება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია, რომელიც უნდა გადაიდგას მზა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ე. ს. ცირამუა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე: ჩვენი რაიონის შრომელებმა იკისრეს წელს მოკრიფონ და გადასამუშავებლად ჩააბარონ 26 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — შარშანდელზე 1000 ტონით მეტი. ამავე დროს ჩვენ ვიბრძვით, რათა მთელი ნედლეულის 72 პროცენტი პირველ ხარისხად ჩავაბაროთ. ამ პროგრამის შესრულება შეგვიძლია. რაიონს აქვს საამისო შესაძლებლობანი, ასე რომ სიტყვას არ ვუღალატებთ.

ნ. ტ. ტაკიძე, მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების უფროსი: ქართული ჩაის ხარისხის ამაღლების პრობლემა რაიონში კომპლექსურად წყდება. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს ფართო ფრონტით ვაწარმოოთ ბრძოლა პლანტაციებში, ტრანსპორტირების დროს, ჩაის ფაბრიკებში. კერძოდ, დიდ მუშაობას ვეწევით მიკროფაბრიკების საშენებლად. მარტო შემოქმედის მიკროფაბრიკამ შარშან გადაამუშავა 1.100 ტონა ნედლეული და კოლმეურნეობას მისცა 80 ათასი მანეთი მოგება. ამ საქმის პერსპექტიულობა გამოცდილებით დადასტურდა.

ბ. მ. ჟორჟია, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანის" გენერალური დირექტორი: მეჩაიეები ბევრ სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ჩვენი გაერთიანების მიერ გამოშვებული მანქანა-მექანიზმების ხარისხის გამო. ჩვენ რადიკალურ ღონისძიებებს ვახორციელებთ შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. მუშაობაში პარალელიზმის აღმოსაფხვრელად იმ მრავალრიცხოვანი დაწესებულებებისა და საწარმოების მეცადინეობის კოორდინაციისათვის, რომლებიც დარგისათვის განკუთვნილი ტექნიკის შექმნაზე მუშაობენ, შექმნილია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. ჩვენ მიერ დასახული პროგრამა შეესაბამება იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც დღეს უყენებენ სოფლისათვის ტექნიკის მიმწოდებელ მრეწველობას.

ი. ი. ხუციშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი: მეჩაიეობა დიდ ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზარალს განიცდის პლანტაციების მეჩხერიანობის გამო. ჩვენ მოვუწოდებთ კომკავშირელებს, ახალგაზრდობას ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. მაგალითად, მარტო მიმდინარე წელს სიმეჩხრე ლიკვიდირებული იქნება დიდ ფართობებზე. გარდა ამისა, ნედლეულისა და მზა პროდუქციის ხარისხს მკაცრ კონტროლს გაუწევს „კომკავშირული პროჟექტორი". რესპუბლიკის ახალგაზრდა მეჩაიეები, ეს კი უზარმაზარი არმიაა, იშრომებენ დევიზით: „ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ქართული ჩაის ხარისხი".

მ. კ. ნაცვლიშვილი, ტყიბულის ჩაის ფაბრიკის მუშა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩაის ფოთლის გადამუშავება? უწინარეს ყოვლისა, ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა გაფართოება. დღის წესრიგშია მუსამე საწარმოს აგების საკითხი, მაგრამ მშენებლობა დღემდე ჭიანურდება, თუმცა მთელი დოკუმენტაცია დიდი ხანია მზად არის. ეს ერთი, მეორე კი ის არის, რომ მომწიფდა საჭიროება ვიზრუნოთ მუშათა შრომის მატერიალური სტიმულირებისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

ლ. რ. ოქრუაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის კომკავშირული ბრიგადის წევრი: ჩვენ, მევენახეები, დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალს მეჩაიეთა წარმატებებს. ვამაყობთ ამ წარმატებებით ისევე, როგორც თქვენ, მეჩაიეები გვითანაგრძნობთ მევენახეებს. ჩაიც და ყურძენიც ქართული მიწის სიამაყეა, ამიტომ ჩვენ ისე უნდა ვიშრომოთ, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ რესპუბლიკის პრესტიჟი, მივაღწიოთ იმას, რომ ქართული ღვინო და ქართული ჩაი უმაღლესი ხარისხისა იყოს.

● ●

თათბირის მონაწილეებმა გამოიტანეს ერთი საერთო დასკვნა: ჩვენს მეჩაიეობაში მართლაც ბევრი ნაკლი და ხარვეზია, მაგრამ კიდევ უფრო მეტია დარგის შემდგომი ხარისხობრივი განვითარების რეზერვი და შესაძლებლობა. ამ რეზერვებისა და შესაძლებლობების ამოქმედება ყველა იმის გადაუდებელი ამოცანა და ღირსების საქმეა, ვისაც ასე თუ ისე დამოკიდებულება აქვს ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისა და პრესტიჟის ამაღლების კეთილშობილურ საქმესთან.

რ. ახპატელოვი,
გ. ჟანიშვილი,
(საქინფორმის კორ.).

თესავენ სადრეო კარტოფილს

ბოლნისი („კომუნისტის" საკ. კორ. ჯ. ქურხული). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მალე დაამთავრებენ სადრეო კარტოფილის თესვას. რაიონის მიწათმოქმედებმა წლეულს 3.500 ჰექტარი ასეთი კარტოფილი უნდა დათესონ.

მეკარტოფილეები ამ გაზაფხულს განსაკუთრებული გულმოდგინებით გაისარჯნენ. დროზე მოიმარაგეს მაღალკონდიციური თესლი, ნიადაგი კარგად დაამუშავეს, მინერალური და ორგანული სასუქებიც დროზე შეიტანეს. ნიადაგის სრულყოფილად დამუშავებას ამინდმაც შეუწყო ხელი. იყო საკმარისი ნალექი თოვლისა და წვიმის სახით.

რაიონში 300 ჰექტარზე დაითესა იაროვიზებული კარტოფილი. ამიტომ მაისის შუა რიცხვებში ბოლნისელებს უკვე ექნებათ შესაძლებლობა სადრეო კარტოფილი მიაწოდონ მომხმარებელს.

სადრეო კარტოფილის თესვის კამპანია ორგანიზებულად მოაწყო არახლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — მ. ვადაჭკორია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — მ. ოსმანოვი), სარაჩლოს მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ა. გასანოვი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ზ. ორუჯევი), ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — უ. ჰუსეინოვი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — ვ. ისმაილოვი), ქვეშის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ბ. მიქელაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი — გ. დავითაშვილი).

წლეულს გეგმით ბოლნისელებმა სახელმწიფოს 52 ათასი ტონა სადრეო კარტოფილი უნდა მიჰყიდონ. ეს შარშანდელთან შედარებით ათასი ტონით მეტი იქნება.

რაიონის მეკარტოფილეები ამასაც არ სჯერდებიან და ფიქრობენ, რომ მომხმარებელს 55 ათას ტონა კარტოფილს მიაწვდიან.

კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობა

1982 წლის I კვარტალის გეგმის შესრულება

ქალაქებისა და რაიონების დასახელება	მაჩვენებლები რეგიონის მიხედვით: ძირითადი ფონდ. ამოქ.	სასაქონლო სამშ. პროდ.	კაპიტალური დაბანდ.	სამშენებლო სამონტ. სამუშ.	საცხოვრებელი ფართობი კვ.მ.: გეგმა	ფაქტ.	+ —
ქალაქები							
თბილისი	110	71	102	101	49208	49978	+ 775
ბათუმი	97	5	57	49	3072	3072	—
გაგრა	—	—	94	111	—	—	—
გორი	17	—	91	102	990	990	—
ზუგდიდი	80	—	80	86	2692	2692	—
ქუთაისი	16	—	86	80	10860	—	— 10860
ფოთი	19	—	70	70	—	—	—
რუსთავი	70	88	107	100	7245	14127	+ 6882
სოხუმი	100	—	95	97	670	3530	+ 2860
ტყვარჩელი	—	—	78	88	—	—	—
ტყიბული	8	—	74	75	—	—	—
წყალტუბო	81	—	90	118	—	2692	+ 2692
ცხინვალი	—	—	45	47	—	—	—
ჭიათურა	92	—	91	66	—	—	—
რაიონები							
აბაშის	87	—	87	109	—	—	—
ადიგენის	105	—	55	51	—	—	—
ამბროლაურის	64	—	66	67	—	—	—
ასპინძის	92	—	64	67	—	—	—
ახალქალაქის	93	—	42	39	—	—	—
ახალციხის	82	4	65	72	—	—	—
ახმეტის	21	—	90	105	85	85	—
ბოლნისის	5	—	119	101	—	—	—
ბოგდანოვკის	62	—	34	40	—	—	—
ბორჯომის	124	74	88	94	—	—	—
ვანის	92	—	57	51	—	—	—
გალის	—	—	81	93	—	—	—
გარდაბნის	10	18	74	96	1100	—	— 1100
გეგეჭკორის	89	—	121	151	—	—	—
გორის	40	6	112	89	—	—	—
გუდაუთის	—	—	66	68	—	—	—
გურჯაანის	184	—	132	166	—	—	—
გულრიფშის	6	—	112	115	—	6658	+ 6658
ჯავის	—	—	130	134	—	—	—
დმანისის	12	—	92	109	—	—	—
დუშეთის	91	—	132	129	—	—	—
ზესტაფონის	3	—	79	92	2309	—	— 2309
ზუგდიდის	58	—	108	165	—	—	—
ზნაურის	—	—	78	85	—	—	—
ქარელის	102	—	113	88	—	—	—
კასპის	63	—	84	85	126	—	— 126
ყვარლის	24	—	109	110	—	—	—
ქობულეთის	1	—	64	75	—	—	—
ყაზბეგის	61	—	7	5	—	—	—
ქედის	—	—	65	65	—	—	—
ლაგოდეხის	10	—	87	95	—	—	—
ლენინგორის	—	—	160	176	—	—	—
ლანჩხუთის	86	—	74	71	—	—	—
ლენტეხის	112	—	35	9	—	—	—
მარნეულის	86	87	137	141	—	—	—
მახარაძის	113	—	82	85	722	—	— 772
მაიაკოვსკის	109	—	65	60	—	—	—
მესტიის	110	—	55	59	—	—	—
მცხეთის	46	89	98	105	—	—	—
ონის	86	—	68	75	—	—	—
ორჯონიკიძის	8	—	106	171	—	—	—
ოჩამჩირის	15	—	91	105	412	—	— 412
საგარეჯოს	14	5	94	104	—	230	+ 230
სამტრედიის	1	4	66	71	—	—	—
საჩხერის	25	—	58	64	—	—	—
სიღნაღის	60	—	105	119	—	—	—
სოხუმის	68	—	48	117	—	—	—
თელავის	20	—	90	100	—	—	—
თერჯოლის	103	—	127	176	—	—	—
თეთრი წყაროს	57	50	106	142	—	—	—
თიანეთის	7	—	113	135	—	—	—
ხაშურის	48	9	112	113	—	—	—
ხულოს	—	—	6	7	—	—	—
ხელვაჩაურის	—	—	112	118	—	—	—
ხობის	152	—	90	100	300	—	— 300
ცაგერის	75	—	132	144	—	—	—
წალენჯიხის	25	100	109	114	—	—	—
წალკის	78	—	49	37	—	—	—
წითელწყაროს	5	—	86	98	2568	—	— 2568
წულუკიძის	25	—	69	96	—	—	—
ცხაკაიას	57	—	74	88	—	—	—
ცხინვალის	—	—	59	79	—	—	—
ჩხოროწყუს	93	—	89	90	—	—	—
ჩოხატაურის	48	—	59	58	722	—	— 772
შუახევის	—	—	70	68	—	—	—

კაპიტალური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის — სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობის მიხედვით გეგმის შესრულებამ მთლიანად რესპუბლიკაში I კვარტალისათვის სულ 29 პროცენტი შეადგინა. მთელ რიგ რეგიონებში — ქალაქებში ქუთაისში, გორში, სოხუმში, ბოლნისის, ზესტაფონის, ყვარლისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმის დავალებები არ შესრულებულა.

კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტების ათვისებით I კვარტალში ჩამორჩნენ ქალაქები ბათუმი, ცხინვალი, ტყიბული, ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ვანის, ყაზბეგის, მესტიის, წალკის, ხულოს რაიონები. ამასთან ეს მაჩვენებლები წარმატებით შესრულდა ქალაქ რუსთავში, ბოლნისის, გეგეჭკორის, გურჯაანის, დუშეთის, მარნეულისა და სხვა რაიონებში.

საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის 1982 წლის პირველი კვარტალის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 101 პროცენტით შესრულდა.

I კვარტალში ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულდა ქალაქებში თბილისში, რუსთავში, სოხუმში, წყალტუბოში, გულრიფშსა და საგარეჯოს რაიონებში.

საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა არ შეუსრულებიათ ქალაქ ქუთაისს, გარდაბნის, ზესტაფონის, მახარაძის, ოჩამჩირის, წითელწყაროს, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებს, რომლებმაც მთლიანად გეგმის შესრულებას 19219 კვადრატული მეტრი დააკლეს.

სამშენებლო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მთელი ძალ-ღონე, მატერიალური და შრომითი რესურსები მოახმარონ ასამოქმედებელი ობიექტებისა და, უპირველესად, ბინების, სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ობიექტებისა და უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის უზრუნველყოფას.

ადგილებზე პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ოპერატიულად უნდა მართონ კაპიტალური მშენებლობა, ყველა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციისა და შემკვეთების მონაწილეობით ყოველთვიურად განიხილონ რეგიონში მშენებლობის შედეგები თითოეული ობიექტის მიხედვით, გამოავლინონ ჩამორჩენის მიზეზები და უზრუნველყონ მათი აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელება. (საქინფორმი).

განვახორციელოთ სასურსათო პროგრამა

მომგებიანი ფაბრიკა

გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს მერი მდივანს იმ დღეს შევხვდით, როცა იგი დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა.

— სულ რამდენიმე დღე გავიდა, — თქვა მან, — ისეთი შეგრძნება კი მაქვს, თითქოს დიდი ხანია ფაბრიკაში არ ვყოფილვარ. დედაქალაქში ამაღლებული განწყობილებით მივემგზავრებოდი. ახლახან ხომ, ჩემს გამგზავრებამდე, ჩვენს კოლექტივს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ეს ჯილდო ბევრ რამეს გვავალებს. იოლი არ არის გახდე პირველი, მაგრამ უფრო ძნელია, დაიცვა და შეინარჩუნო ეს შეფასება.

და კიდევ ერთი ჩემთვის ღირსახსოვარი ამბავი: ვმონაწილეობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მუშაობაში. მომცეს სიტყვა. ვილაპარაკე იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწია ქარხანამ, როგორ იყენებს არსებულ რეზერვებს, რაზე ფიქრობენ მომავლისათვის ჩვენი მშრომელები.

და აი, მოსკოვში, პროფკავშირთა XVII ყრილობაზე ვარ. პირველი სხდომა. ტრიბუნაზეა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. მისმა ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ აღფრთოვანება ყველა დამსწრე — დელეგატები და სტუმრები, და ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის გამოსვლა შუქურად იქცა ყრილობის მთელი მუშაობის განმავლობაში.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ყველა მშრომელის, მთელი ხალხის ინტერესებს ეხება, სასურსათო პრობლემაა. ლეონიდ ილიას ძემ თქვა: „...სოფლის მეურნეობაშიც და მასთან დაკავშირებულ მრეწველობის დარგებშიც ხომ ბევრი გადაუდებელი საარსებო საქმეა, რომლებსაც დაუყოვნებლივ უნდა მივხედოთ, რათა გავაუმჯობესოთ სურსათ-სანოვაგით მომარაგება".

მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს სიტყვები მთლიანად და სავსებით ეხება ჩვენი მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივსაც.

ყველამ ვიცით, რომ სასურსათო პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი საკითხია მეცხოველეობა, და თუ ეს ასეა, მაშინ მეფრინველეობა მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმია.

აი, ჩვენს ფაბრიკაში თითქოს არცთუ ცუდად არის საქმე: სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით ვასრულებთ კვერცხისა და ხორცის წარმოების გეგმებს, ჩვენ გვაჯილდოებენ გარდამავალი წითელი დროშებით, გვაძლევენ ფულად პრემიებს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს. და აქ აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ციფრები. ამ წლის მანძილზე სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 2,6 მილიონი ცალი კვერცხი და 102 ტონა ხორცი, ხოლო მეურნეობის ფულადმა შემოსავალმა შვიდ მილიონ მანეთს გადააჭარბა. ზეგეგმითმა მოგებამ 522 ათასი მანეთი შეადგინა. მარტო ერთ წელიწადში წინა წელთან შედარებით თორმეტი პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. თითოეულ მომუშავეზე წარმოებულია 13 ათასი მანეთის პროდუქცია. ეს საერთო წარმატება მთელი კოლექტივის გამრჯე შრომამ განაპირობა.

მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ — განა ამოვწურეთ მთელი ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი?

პირდაპირ ვიტყვი — არა.

ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში დეტალურად, უფრო ღრმად, მოთმინებით გავერკვეთ და არ გადავდოთ ყველაფერი შორეული მომავლისათვის. ტყუილად როდი ამბობენ, ვინც ეძებს, ის ყოველთვის პოულობსო. დარწმუნებული ვარ, ჩვენც ვიპოვით. აქ საჭიროა ჩვენმა მშრომელებმა მეტი ინიციატივა და დაინტერესება გამოიჩინონ, ამ დიდ საქმეს არ მოაკლონ არც უნარი, არც გარჯა. ამ მიმართულებით ზოგიერთი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი მეტია. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. ფაბრიკაში მოაწყვეს ერთი განყოფილება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ყოველწლიურად მოსახლეობას სამ მილიონამდე ერთდღიანი წიწილა მივყიდოთ. წელს უკვე ასი ათასი მივყიდეთ.

შექმნილია დამხმარე მეღორეობის ფერმა, საიდანაც ყოველწლიურად სახელმწიფო სამოც ტონა ხორცს ყიდულობს. მიმდინარე წელს მოსახლეობას გასასუქებლად მიეყიდება ხუთასი გოჭი და დამატებით მივიღებთ ორმოც ტონა ღორის ხორცს. უახლოეს მომავალში ფაბრიკაში ორგანიზებული იქნება რძის წარმოება, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ჩვენი საბავშვო დაწესებულებების მოთხოვნილებას ამ პროდუქტზე. ეს იმაზე მოგახსენებთ, რაც უკვე გაკეთდა.

დაძაბული გეგმები აქვს ფაბრიკის კოლექტივს მეთერთმეტე ხუთწლედში. ძირითადი პრობლემაა მოქცეულის რიცხვი ნახევარ მილიონამდე გავზარდოთ. ამისათვის დაგვჭირდება დიდი მოცულობის სამუშაოები ფაბრიკის გაფართოებისა და მოწყობილობით აღჭურვისათვის. ეს ამოცანა ეტაპობრივად გადაწყდება. ძირითად ობიექტებს შორის აშენდება ჩასაყენებელი მოზარდეულის ორი დიდი საფრინველე — თითოეული 54 ათასი ფრთისათვის, საღედე გუნდის ორი საამქრო — თითოეული 16 ათასი ქათმისათვის, სამი საფრინველე სამრეწველო გუნდისათვის — თითოეულში 36 ათასი მოქცეული იქნება, საკლავ-სანიტარიული პუნქტი. დიდი სამუშაოები შესრულდება მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების მშენებლობისათვის.

წარმოების განუწყვეტელი პროცესისა და სავეტერინარო-სანიტარიული ღონისძიებებისათვის საჭირო პირობების შექმნის მიზნით მეფრინველეობის ფაბრიკაში ამუშავებენ „უნივერსალ-55" თხუთმეტი ინკუბატორისათვის გათვალისწინებული ახალი ინკუბატორიუმის პროექტს.

— ყველა ჩვენს მაჩვენებელს, — ამბობს მ. მდივანი, — ყველაფერს, რასაც კოლექტივი აღწევს, უნდა ვუმადლოდეთ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული წარმოებაში. ისინი კი გამრჯე, კარგი ხალხია, უყვართ თავიანთი საქმე, გულიანად მუშაობენ.

ჩვენ ვეწვიეთ ფაბრიკის ობიექტებს. წიწილების გამოსაზრდელ დიდ საამქროში შევხვდით ახალგაზრდა მეფრინველეს თინა ზაქაიძეს. თორმეტი წლის წინათ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდა იგი მეფრინველეობის ფაბრიკაში. თავდაპირველად გაუჭირდა, თანდათანობით კი აითვისა მეფრინველის სპეციალობა. ახლა იგი ფაბრიკის ერთ-ერთი საუკეთესო მეფრინველე ოპერატორია.

ამ თორმეტი წლის განმავლობაში, რაც თინა მუშაობს, მეურნეობა თითქმის ხელახლა გარდაიქმნა. ფრინველის ეზოში შენახვიდან მთელი ფაბრიკის კოლექტივი გადავიდა გალიურ შენახვაზე. და ისევ დაიწყო ახალ მოწყობილობაზე ოპერატორის მუშაობის შესწავლა. უნდა აეთვისებინა ტექნიკის თავისებურებანი, დაუფლებოდა მის დიდ თუ პატარა „საიდუმლოებებს". შედეგმაც არ დააყოვნა: იმატა ფრინველის წონამ, შემცირდა გაწყდომა.

და თუმცა მანქანებმა და მექანიზმებმა მნიშვნელოვნად გაათავისუფლა მეფრინველე ხელის შრომისაგან, მაგრამ მას მომატა პასუხისმგებლობა მათი დაცვისა და ექსპლოატაციისათვის. ამ დიდ საამქროში ერთდროულად ახლა ცხრამეტი ათას ერთი თვის წიწილას ზრდიან, და ყველას მათ ერთი თინა უვლის. და მაინც, საიდუმლო მარტო მექანიზაცია და ახალი ტექნიკის დანერგვა როდია. ეს არის დავალებული საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიის სიყვარული. ეტყობა, ამაში თავისებური რომანტიკაც არის.

თინას თანამოსაქმეა ლეილა გავაშელიშვილი — აგრეთვე ოპერატორი მეფრინველე. იგიც თინასავით თორმეტი წელია მუშაობს. უვლის მოზარდეულს — აგრეთვე ცხრამეტი ათასს და აგრეთვე ყველას ერთი. ჰოდა, ეჯიბრებიან ისინი ერთმანეთს — ვინ უკეთ გამოზრდის წიწილებს. დავძენთ კიდევ, რომ თინა ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანია. გარდაბნელმა კომკავშირელებმა იგი საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

საკავშირო მაჩვენებლების დონეზე შრომობს მეფრინველე მართა ხიბლაშვილი. იგი ერთდროულად 35 ათას მოქცეულს ემსახურება, თითოეულზე საშუალოდ წელიწადში 230 კვერცხს იღებს. კარგი მაჩვენებლები აქვთ მეფრინველეებს მაყვალა ზვიადაურს, სედა გობეჯიშვილს, ეთერ მამნიაშვილს, დამრიგებელ მეფრინველეებს — ძმებს გივი და ნუგზარ ნათენაძეებს. თავიანთ ბრიგადებს წარმატებით ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატები ელზა თოდუა და თამაზ ტოკლიკიშვილი. ამ სიის გაგრძელება შეიძლება.

ახლა ფაბრიკაში ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს — 60 დამკვრელური კვირა!". მეფრინველეებმა ვალდებულება იკისრეს იუბილესათვის ათი პროცენტით გაზარდონ წარმოების საერთო მოცულობა, დღესასწაულისათვის, თბილისელთა და რუსთაველთა სუფრისათვის გამოუშვან მილიონი ცალი კვერცხი და ორმოცდაათი ტონა ქათმის ხორცი.

ყოველწლიურად უმჯობესდება ფაბრიკის მშრომელთა ცხოვრების პირობები. აქ აშენდა ახალი სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა, სავაჭრო ცენტრი, მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობა, საცხოვრებელ სახლებთან მიყვანილია ბუნებრივი გაზი, შენდება 32-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საწარმოს მოგების გადიდების ხარჯზე უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობა. მოგვარებულია საბავშვო ბაღებსა და ბაგებში ბავშვთა უფასო კვება.

ფაბრიკა იხდის მუშაკთა კომუნალური მომსახურების ყველა გადასახდელს, რის შედეგადაც თითოეული ოჯახი ყოველწლიურად 240 მანეთით ზოგავს თავის ბიუჯეტს. მატერიალური სტიმულირების აღნიშნული ფორმა არწმუნებს მშრომელებს, რომ დიდრენტაბელური საზოგადოებრივი მეურნეობა ხელს უწყობს მათს კეთილდღეობას.

ასე ცხოვრობენ და შრომობენ ნორიოელი მეფრინველეები.

...ჩვენს რეპორტაჟს რომ ვამთავრებდით, დიდი თოვა დაიწყო. თოვლით დაიფარა გზა, თეთრ საბურველში გახვია მინდვრები. ვიღაცამ თქვა, ისევ დაგვიბრუნდა ზამთარიო!

მეორე დღეს კი დილიდანვე მზე ამობრწყინდა და მაღლა, ცისფერ ცაში გამოჩნდა თეთრი ღრუბლის ქულები, ზუსტად ისეთი, როგორიც გაზაფხულზე იცის ხოლმე. და თითქოს მზეს უღიმიანო, თავიანთი სამუშაო ადგილებისაკენ მიეშურებოდნენ მეფრინველეები.

ახალი შრომითი დღე იწყებოდა.

ვლ. გინზბურგი,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
ნორიო.

● ●

სურათებზე: მეფრინველე ოპერატორები თინა ზაქაიძე (მარჯვნივ) და ლეილა გავაშელიშვილი; სამ მილიონ ახეთ წიწილას გაყიდის წელს ფაბრიკა.
ავტორის ფოტო.

შეფერხება თავიდანვე

გელათის ტრანსფორმატორების ქარხანას არცთუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი პროდუქცია მან ამ ორი ათეული წლის წინათ გამოუშვა, მაგრამ მის ნაწარმს — საჩარხო ტრანსფორმატორებს არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა, არამედ მსოფლიოს ოცდაათამდე ქვეყანაც იცნობს. გელათელებს ტყიბულის ზონის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არაერთხელ უსახელებია თავი. ამას ადასტურებს მათ მიერ მოპოვებული მრავალი დიპლომი, სიგელი, გარდამავალი წითელი დროშა. ამით სრულიად სამართლიანად ამაყობენ მეტრანსფორმატორეები და ცდილობენ მათი ნახელავი ყოველთვის კარგი იყოს.

ქარხნის კოლექტივმა შარშან მთლიანი პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო დავალება გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით 37 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია გამოუშვა. ახლა აქ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა!". მოწინავე საამქროებმა და ბრიგადებმა ვალდებულება იკისრეს საიუბილეო თარიღისათვის ხუთწლედის ორი წლის დავალება შეასრულონ.

სამწუხაროდ, წლეულს ქარხნის ნაქებმა კოლექტივმა ვერ შეინარჩუნა მუშაობის სწრაფი ტემპი და პირველად თავისი არსებობის ისტორიაში შეამცირა პროდუქციის გამოშვების მიღწეული დონე. მაგალითად, შარშან იანვარ-თებერვალში აქ აწარმოეს 601 ათასი მანეთის პროდუქცია, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში კი გაცილებით ნაკლები — 384 ათასი მანეთისა. წარმოების ტემპი, ნაცვლად ზრდისა, 37 პროცენტით შემცირდა. მიღწეულთან შედარებით 34 პროცენტით იკლო თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერებამ.

თებერვალში საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორმა", მართალია, კორექტივი შეიტანა გელათის ქარხნის პირველი კვარტლის საწარმოო გეგმაში, რამაც ერთგვარი მოჩვენებითი კეთილდღეობა შექმნა, მაგრამ ამან მდგომარეობა ვერ შეცვალა. საქმე ის არის, რომ პროდუქციის გამოშვების ასეთმა მკვეთრმა შემცირებამ თავისი დაღი დაასვა ქალაქის მრეწველობის მაჩვენებელს. მდგომარეობა არც მარტში გამოსწორდა. ქალაქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც ტყიბულის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებსა და მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტლის საგეგმო დავალებათა რეალიზაციის გადაუდებელ ამოცანებს განიხილავდნენ, სხვა ჩამორჩენილ საწარმოებთან ერთად, გელათის ქარხანაც გააკრიტიკეს.

რა არის ქარხნის კოლექტივის ასეთი მოულოდნელი ჩამორჩენის მიზეზი? რა მოხდა ისეთი, რომ ახალი წლიდან გუშინდელი მოწინავენი უკვე კუდში მიჩანჩალებენ?

— წლის დამდეგიდან, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა პ. მეტონიძემ, — საწარმომ დაიწყო ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის საჩარხო ტრანსფორმატორების სერიული გამოშვება. სიახლე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ამჯერადაც დიდ სიძნელეებს წააწყდა. შესასრულებელი სამუშაოს შრომატევადობა თითქმის მეოთხედით გაიზარდა და ეს მაშინ, როცა გვაკლია კვალიფიციური მუშახელი. გაუმჯობესებული ტიპის საჩარხო ტრანსფორმატორების სერიულ გამოშვებაზე გაადასვლამ წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მთლიანი განახლება მოითხოვა. ამას ემატება ნედლეულითა და სხვა დამხმარე მასალებით საწარმოს შეფერხებით მომარაგება.

გელათელებს იანვარში ქარხანა „ერევანკაბელიდან" უნდა მიეღოთ მეტად საჭირო 20 ტონა ტრანსფორმატორის კოჭის დასახვევი გამტარი. დაგეგმილი ნედლეულის მიწოდება მთლიანად ჩაიშალა. მდგომარეობა არც მარტში გამოსწორდა. თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, ქარხანა იძულებული იქნება შეწყვიტოს პროდუქციის გამოშვება. საწარმოს მთელი კოლექტივი შეშფოთებულია ქ. ლიდის (ბელორუსიის სსრ) ლაქსალებავების ქარხნის დირექციის გულგრილობით. მომწოდებელმა იანვარ-თებერვალში არ გამოგზავნა 10 ტონა კოჭების საჟღენთი ლაქი, რამაც საგრძნობლად შეაფერხა პროდუქციის გამოშვება. ბელორუსიელი მომწოდებლები მარტის პირველ ნახევარშიც დუმან.

ქარხანას უსათუოდ სჭირდება ტრანსფორმატორის აქტიური ნაწილის დასაფარავი ლაქი. იგი უნდა მოაწოდოს ქ. თბილისის ლაქსაღებავების მომარაგება-გასაღების ბაზამ, მაგრამ მან ვერ შეძლო სახელშეკრულებო დავალების შესრულება. არადა, მუშაობა რომ ნორმალურად წარიმართოს, თვეში სულ ცოტა 3 ტონა ლაქი მაინც არის საჭირო.

გელათელი მეტრანსფორმატორეები დიდი ხანია განიცდიან მეტად საჭირო სხვადასხვა ზომის ქანჩ-ჭანჭიკების ქრონიკულ ნაკლებობას. ბევრი ცდის მიუხედავად, მდგომარეობა მაინც არ სწორდება. ქანჩ-ჭანჭიკების უქონლობით იანვარში ქარხანა ორ დღეს უქმად იდგა, რამაც გააუარესა მისი ეკონომიკური მაჩვენებლები. ცხადია, მომარაგების ასეთი პირობები საფრთხეს უქმნის ქარხნის ნორმალურ მუშაობას. ამა თუ იმ მასალის ნაკლებობა ქარხნის მუშაობის რიტმის გარდაუვალ ჩაშლას იწვევს.

არის სხვა ხელშემშლელი გარემოებანიც. საყვედური ეთქმის სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (უფროსი — გ. ბარაბაძე), რომელმაც გააჭიანურა ტრანსფორმატორების ვულანების ასაწყობი საამქროს მოწყობა. აქ სასწრაფოდ უნდა დამონტაჟდეს და ამუშავდეს კონვეიერის ხაზი, რომელიც დააჩქარებს ახალი ტიპის ტრანსფორმატორების აწყობის პროცესს.

მეტისმეტად მოძველდა ტრანსფორმატორის კოჭის დასახვევი ჩარხები. მათი მწარმოებლობა მცირეა და უხარისხო ნაწარმი მზადდება. ქარხანა დიდად იზარალებს, თუ მოკლე დროში მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი სულ ცოტა 25 უვარგისი ჩარხი მაინც არ შეიცვალა.

დიდი ხანია, რაც დღის წესრიგში დგას გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების საკითხი. ამ გზაზე უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები — დაიწყო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა. მაგრამ ეს საშური საქმე ჭიანურდება. აქ გადამწყვეტი სიტყვა სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრომ უნდა თქვას.

გელათელთა გასაჭირი გულთან უფრო ახლოს უნდა მიიტანონ საწარმოო გაერთიანება „კავკასტრანსფორმატორის" ხელმძღვანელებმა. მათგან ქარხანა მეტ პრაქტიკულ დახმარებას ელოდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამთავითვე მწყობრი რიტმი და მუშაობის მაღალი ხარისხი პარტიის მიზანდასახულებათა უთუო შესრულების გარანტიაა.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით რესპუბლიკის სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქორგტექსოფლმშენის" მართვის სისტემების სრულყოფისა და ეკონომიკური ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ამხ. არქიპო მირონის ძე ლაბახუა დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე წალენჯიხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ხუშუტი მიხეილის ძე მიქავა დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის დაბადების 95 წლის თავის გამო

დიდი მეცნიერი და მოქალაქე

გიორგი ახვლედიანის მეცნიერული ღვაწლი ცნობილია როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იგი ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო და ლინგვისტური მეცნიერების სხვადასხვა დარგში ეწეოდა მუშაობას. ზოგადი ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, ინდოევროპული ენები, ქართველური ენები, ლოგოპედია — ამ სფეროებში გ. ახვლედიანმა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნა; ზოგი მათგანი ფუძემდებლური ხასიათისაა და ფართო პერსპექტივებს უსახავს მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

გ. ახვლედიანმა საფუძვლიანი მეცნიერული განათლება მიიღო ...ის უნივერსიტეტში თეორიულ ენათმეცნიერებასა და კლასიკურ ფილოლოგიაში. მისმა პირველმა მეცნიერულმა შრომამ იმთავითვე პოვა აღიარება შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების ავტორიტეტების, ...ის ენძელინის რეცენზიაც, რომაც საბოლოოდ განსაზღვრა ახალგაზრდა მკვლევრის მომავალი ბედი და მეცნიერული პერსპექტივა. მალე ასპირანტი გ. ახვლედიანი იგზავნება პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც მოღვაწეობს გამოჩენილი მეცნიერების აკადემიკოს ნ. მარის (ქართული ფილოლოგია), აკადემიკოს კ. ზალემანის (ირანული ფილოლოგია), აკადემიკოს ფ. შჩერბატსკოის (ინდური ფილოლოგია), აკადემიკოს ლ. შჩერბას (ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა) ცნობილ სემინარებში. შემდეგ ახალგაზრდა მეცნიერი ბრუნდება სამშობლოში და მოღვაწეობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „ტფილისის უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის — პროფ. ი. ყიფშიძის, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროოდ ცვალებების გამო უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა".

უნივერსიტეტში გ. ახვლედიანმა დააარსა ზოგადი ენათმეცნიერების კათედრა და საფუძველი ჩაუყარა ისეთ დისციპლინებს, როგორიც თეორიული ენათმეცნიერება და ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკაა. კათედრამ ...რიული როლი შეასრულა საბჭოთა საქართველოში დაფუძნებული ლინგვისტური აზროვნების გაღრმავება-განვითარებაში. გ. ახვლედიანი სხვადასხვა დროს კითხულობდა ისეთ საუნივერსიტეტო კურსებს, როგორიც არის ენათმეცნიერების შესავალი, ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია, ფონეტიკა, სანსკრიტი, ბერძნული ენა, რუსული ენის ისტორია და დიალექტოლოგია, ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა, ოსური ენა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია, ლოგოპედია.

გ. ახვლედიანი ავტორია ჩვენი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პირველი სახელმძღვანელოებისა. 1918-1919 წლებში დაიბეჭდა ახალგაზრდა პროფესორის „ენათმეცნიერების შესავალი" სამ ნაწილად, „რომელიც იმხანად რუსულ ენაზე არსებულ ანალოგიურ სახელმძღვანელოთა შორის გამოირჩეოდა შინაარსის სიმდიდრითა და საკითხთა დამუშავების მაღალი დონით. ამ სახელმძღვანელოზე — ქართულად — ენათმეცნიერების ანბანი გაიკვეთა არაერთმა თაობამ" (არნ. ჩიქობავა). ეს არის საერთოდ ენათმეცნიერების პირველი სახელმძღვანელო, რომელშიც ზოგადლინგვისტური ცნებები და მოვლენები გაშუქებულია მსოფლიოს ენებიდან მოხმობილ საილუსტრაციო მასალასთან ერთად, ქართული ენის ბგერითი სისტემისა და გრამატიკულ-ლექსიკური ფაქტების ანალიზის საფუძველზე. მეორე სახელმძღვანელო გახლდათ „სანსკრიტი — მოკლე გრამატიკა და ნაწყვეტები კლასიკური სანსკრიტიდან და რიგვედიდან ლექსიკონითურთ" (1920 წ.). ამ წიგნის გამოცემა ჩვენს სამეცნიერო ცხოვრებაში უთუოდ კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტად უნდა ვაღიაროთ, რამდენადაც ძველი ინდური ენის სწავლება და ამ დარგში ორიგინალური სახელმძღვანელოს გამოცემა ჩვენი ახალგაზრდა უნივერსიტეტის აკადემიურ პრესტიჟზე მეტყველებდა და საუნივერსიტეტო დისციპლინათა მრავალფეროვნებას ადასტურებდა, წიგნმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ინდოლოგიას.

გ. ახვლედიანი ასევე შეუნელებელი ინტერესით ზრუნავდა იმთავითვე სასკოლო ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნისათვის. 1919 წელს გამოიცა მისი „რუსული ენის გრამატიკა", რომელმაც თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ჩვენში რუსული ენის სწავლების დარგში. უმაღლესი და საშუალო სკოლების ინტერესთა ასე ორგანულად შეხამება და ერთმანეთთან დაკავშირება თბილისის უნივერსიტეტის პირველ პროფესორთა მრწამსს გამოხატავდა და ნაკარნახევი იყო ჩვენს რესპუბლიკაში საუნივერსიტეტო განათლების საერთო პერსპექტივების მიზან-ამოცანებით. ამ პრინციპს ერთგულად ემსახურებოდა გ. ახვლედიანიც.

ამ დროიდან მოყოლებული დღენიადაგ ზრუნავდა გ. ახვლედიანი საქართველოში რუსული ენის შესწავლის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. მისი მზრუნველობის შედეგად შეიქმნა რუსული ენის კათედრები ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მისივე ხელმძღვანელობით დაიწერა მრავალი დისერტაცია სლავისტიკაში. ჩვენმა დიდმა მეცნიერმა სათავე დაუდო რუსულ-ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკის მეთოდებით შესწავლას. დღესაც სტაბილურ სახელმძღვანელოდ არის მიღებული გ. ახვლედიანის რუსული ენის ფუნდამენტური გრამატიკა ქართული სკოლებისათვის, რომელიც გრამატიკული მოვლენების პარალელური შესწავლის მშვენიერი ნიმუშია.

გ. ახვლედიანი უპირატესად ფონეტიკოსია. ამ დარგში ხანგრძლივი დაკვირვებები შეჯამებულია მონოგრაფიაში „ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის საფუძვლები" (1949), რომელიც საბჭოთა ფონეტიკური მეცნიერების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მონოგრაფიის პირველი ნაწილი ივარაუდება ზოგადი ფონეტიკის კურსის პროპედევტიკად, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს მეტწილად ზოგადფონეტიკური საკითხების სისტემურად დალაგებას, რომელთაგან უმრავლესობა პირველად არის ავტორის მიერ დასმული მეცნიერებაში ან განხილულია უმთავრესად ქართველურ ენათა მასალაზე. ზოგიერთი მათგანი, რომელთა შესახებაც წინათაც ყოფილა მსჯელობა ფონეტიკურ ლიტერატურაში, წიგნში განხილულია იმავე მასალაზე და გამდიდრებულია ახალი დაკვირვებებით. იბერიულ-კავკასიური ენების მონაცემები გ. ახვლედიანმა გამოიყენა ზოგადფონეტიკური მოვლენების დასახასიათებლად; თუ აქამდე ფონეტიკის ზოგადი კურსი უპირატესად ინდოევროპული ენების მასალაზე იყო აგებული, გ. ახვლედიანის წყალობით ამ კურსის სტრუქტურაში ამიერიდან შევიდა ქართული ენის მონაცემები, რომლებიც წარმოადგენს თეორიული დებულებების არა მხოლოდ უბრალო ილუსტრაციას, არამედ ეს ახალი ენობრივი მასალა მოწოდებულია ახლებურად გააშუქოს ზოგადი საკითხები.

ფონეტიკური პრობლემების კვლევის მყარ ნიადაგზე დაყენებისათვის, მით უმეტეს, მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, აუცილებელი იყო ექსპერიმენტული კაბინეტებისა და ლაბორატორიების შექმნა. დღის წესრიგში დადგა ექსპერიმენტული ძიების გაშლა სათანადო მეცნიერული ბაზის საფუძველზე. გ. ახვლედიანმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართველურ-კავკასიური ენების და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველების კიმოგრაფიულ და ფონოგრაფიულ ჩაწერას. ამ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი კვლევა წარიმართა სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ბგერების ექსპერიმენტული შემოწმების საფუძველზე. გ. ახვლედიანის მიერ დაარსებულ ლაბორატორია-კაბინეტებში სათავე დაედო საქართველოში ელექტროაკუსტიკური რადიოტექნიკური და კინორენტგენოლოგიური მიღწევების გამოყენებას ფონეტიკის პრობლემების კვლევა-ძიების დროს.

ინდოევროპულ ენათა ირანული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი — ოსური ენა დიდი ხანია იპყრობს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ცნობილი ლინგვისტების ყურადღებას. ეს ენა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ საგულისხმო საკითხები ისმის ქართულ ენასთან კონტაქტების თვალსაზრისით, რაც ქართველთა და ოსთა კულტურულ-ისტორიული კავშირ-ურთიერთობის შედეგია. საბჭოთა საქართველოში ჩაისახა და დიდი წარმატებით, ვითარდება ოსური ენის მეცნიერული შესწავლა, რისი თაოსანი და მთავარი წარმომადგენელიც გ. ახვლედიანია. მისმა გამოკვლევებმა ამ დარგში ცნობილი ირანისტების ყურადღება მიიპყრო.

ირანულ-ოსური ენათმეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისა და ამ დარგში მრავალრიცხოვანი ოსი და ქართველი სპეციალისტების აღზრდისათვის ამაგდარ მეცნიერს მიენიჭა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გ. ახვლედიანის სახელთან არის აგრეთვე დაკავშირებული ისეთი რთული ფონეტიკური სისტემის ენის ბგერათა შესწავლა და კლასიფიკაცია, როგორიცაა აფხაზურია. 1926 წელს დღის სინათლეზე გამოდის ნაშრომი „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის", რომელიც ადრე მოხსენდა „ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებას". აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს ნ. მარის საკმაოდ გახმაურებული ნაშრომი ამავე საგანზე დაიბეჭდა მას შემდეგ, რაც გ. ახვლედიანის მოხსენება წაკითხული იყო თბილისში, თუმცა აქ მიღებული შედეგები გამოქვეყნდა მარისეული პუბლიკაციის შემდეგ.

გ. ახვლედიანის ღვაწლს მიეწერება ჩვენს რესპუბლიკაში ლოგოპედიის, როგორც ფონეტიკის პრაქტიკულად გამოყენების ფრიად მნიშვნელოვანი დარგის, დაფუძნება და განვითარება. ჩვენი დაუღალავი მეცნიერი დიდი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ლოგოპედიის განყოფილებას თბილისის ნერვულ-ფუნქციურ დაავადებათა ინსტიტუტში, სადაც შეთანხმებულად მუშაობდნენ ენათმეცნიერები და ექიმები. ეს იყო პრაქტიკული ლოგოპედიური მუშაობის მტკიცე ბაზა, სადაც გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით არაერთი სპეციალისტი აღიზარდა, არაერთ ენამოშლილს მეტყველება გამოუსწორდა. გ. ახვლედიანის ინიციატივით შექმნილმა ლოგოპედთა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია სამამულო ომის დროს საევაკუაციო ჰოსპიტლებში მოთავსებული კონტუზირებული და მეტყველებადაკარგული ჯარისკაცების განსაკურნავად.

ფასდაუდებელი ამაგი დასდო გ. ახვლედიანმა ქართულ ლექსიკოლოგიას. მისი ავტორობით, თანაავტორობით თუ რედაქციით გამოქვეყნებულია თარგმნითი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ინტერნაციონალურ სიტყვათა ლექსიკონები. მისივე ცხოველი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დადგენილია და გამოსულია მრავალი სპეციალური სამეცნიერო დარგის ტერმინოლოგია.

გ. ახვლედიანი ცნობილია როგორც მეცნიერების ორგანიზატორი და ფართო საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით დაჯილდოებული ადამიანი, ღვაწლმოსილი მეცნიერი სხვადასხვა დროს გახლდათ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი, საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე, ქუთაისის პედინსტიტუტის დამაარსებელთაგანი და პროფესორი, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის დამაარსებელთაგანი და რექტორი, უცხო ენათა ინსტიტუტის დამაარსებელთაგანი და მისი მთავარი კონსულტანტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი და სხვ.

გ. ახვლედიანი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით და მედლებით.

ფართო განსწავლულობა, პედაგოგიური ალღო და არაჩვეულებრივი პიროვნული ტაქტი მტკიცე საფუძველი იყო იმისათვის, რომ გ. ახვლედიანს აღეზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა არმია ისეთ განსხვავებულ ფილოლოგიურ დისციპლინებში, როგორიც არის თეორიული ენათმეცნიერება, ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკა, სლავისტიკა, ინდოლოგია, გერმანისტიკა, რომანისტიკა, ირანისტიკა, ლოგოპედია.

ბატონი გიორგი შემკული იყო იშვიათი ადამიანური თვისებებით და განსწავლული საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნებითა და მამულიშვილური სულისკვეთებით. ჩვენ ყველას გვახსოვს, რა ენთუზიაზმითა და ახალგაზრდული შემართებით მიეგება ხანდაზმული მეცნიერი ახალ სასიკეთო ძვრებს ჩვენს რესპუბლიკაში და ახალგაზრდებს მოუწოდებდა მხარი აებათ ჩვენში გაშლილი ძირეული გარდაქმნებისაკენ მიმართული ძლევამოსილი პროცესებისათვის. აკადემიკოს გ. ახვლედიანის სახელი სამარადჟამოდ აღიბეჭდება საბჭოთა მეცნიერების ისტორიაში.

შოთა ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო ცხოვრების ღელვილის ზურგზე

12 აპრილი

• ლიბან-ისრაელი

უკიდურესი დაძაბულობა

ბეირუთი. ისრაელის ჯარებმა და სამხრეთლიბანელი სეპარატისტების შეიარაღებულმა შენაერთებმა დაამთავრეს მზადება ლიბანელი და პალესტინელი ხალხების წინააღმდეგ ფართო მასშტაბის აგრესიის განსახორციელებლად. როგორც იუწყებიან, ისრაელის სულ ცოტა ორ დივიზიას თავი მოუყარეს ლიბანის საზღვრის გასწვრივ. საბრძოლოდ გამზადეს საარტილერიო ქვემეხები და სარაკეტო დანადგარები, შესანიღბავი ბადეები მოხსნეს ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს, საბოლოოდ ზვერავენ ადგილმდებარეობას ისრაელი ოფიცრები. მესანგრეები ამოწმებენ მისასვლელ გზებს, ხიდებს, წყლის დაბრკოლებათა გადასალახავად მზად არიან საინჟინრო ნაწილები.

ისრაელი პატრულები მრავალჯერ შეიჭრნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების დისლოკაციის რაიონებში, რათა დაედგინათ საერთაშორისო ჯარების საგუშაგოებისა და სათვალთვალო პუნქტების მდებარეობა.

ლიბანის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავისი მუდმივი წარმომადგენლის მეშვეობით უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა შეტყობინება ლიბან-ისრაელის საზღვარზე უკიდურესი დაძაბულობის შესახებ და გააფრთხილა, რომ ლიბანი იტოვებს უფლებას მოითხოვოს უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ მოწვევა.

• ანგოლა

ვაშინგტონი გეგმავს აგრესიას

ლუანდა. რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებულ აგრესიას ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ გეგმავს და წარმართავს ვაშინგტონი, განაცხადა მპლაშრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო საკითხების მდივანმა ლუსიო ლარამ.

სახალხო ანგოლაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, თქვა მან, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი და რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იყენებენ სახალხო ანგოლის მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციურ ბანდებს, ამარაგებენ მათ იარაღით, ტყვია-წამლით და სხვა სამხედრო აღჭურვილობით.

• აშშ

„30 ვერცხლი"— პრეზიდენტს

ვაშინგტონი. თეთრ სახლში პრეზიდენტ რ. რეიგანის სახელზე მიიღეს ამანათი, რომელშიც ბიბლიური 30 ვერცხლის გამომხატველი 30 მონეტა იდო. ეს უსიამოვნო „ჯილდო" მას გამოუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ეკლესიამ, რომლის მრევლი, ისე როგორც მილიონობით სხვა ამერიკელი, აღშფოთებულია ახლანდელი ადმინისტრაციის ანტიხალხური პოლიტიკით.

წერილში, რომელიც ამანათში იდო, რელიგიური მოღვაწეები პრეზიდენტს აბრალებენ, რომ თეთრ სახლში მოსვლისთანავე მან დაივიწყა არჩევნებისწინა გულუხვი დაპირება, ყოველნაირად შეეცვლები ამერიკელთა კეთილდღეობაზე ვიზრუნოო და „დიდი ბიზნესის" სამებლად სოციალური პროგრამების შეკვეცის გზას დაადგა.

დამატებითი ცნობა

გააძევეს ქვეყნიდან

დელი. ინდოეთის ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა ამერიკელი მოქალაქე გ. დილონი — ინდოეთისაგან პენჯაბის შტატის გამოყოფის და მის ბაზაზე „ხალისტანის სახელმწიფოს" შექმნისათვის სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი. ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის დილონს აკრძალული ჰქონდა ინდოეთში ჩასვლა, მაგრამ მან მოახერხა ინდოეთში არალეგალურად შეღწევა, რათა მითითებანი მიეცა ჩანდიგარხში მოქმედი ანტიინდური იატაკქვეშა დაჯგუფებისათვის.

ურთიერთნდობა, მეგობრობა და თანამშრომლობა

სსრ კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 35 წლის თავი

„დიდი სიხარულით შეხვდნენ ინდოელი პატრიოტები საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, — იგონებს გამოჩენილი ინდოელი საზოგადო მოღვაწე პროფესორი ხირენ მუზერჯი.— „საბჭოთა კავშირის მიერ ინდოეთის ოფიციალურად ცნობამ 1947 წლის 13 აპრილს, იმ დროს, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ბრიტანეთის სამულველი ბატონობის წინააღმდეგ კულმინაციას მიაღწია, ახალი ენერგია შემატა თავისუფლებისათვის მებრძოლებს. ეს იყო ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა. მან ცხადყო, რომ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო მზად იყო მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა აზიის ქვეყანასთან, რომლის ხალხთან მას დიდი ხნის სიმპათიის გრძნობა აკავშირებდა".

მას შემდეგ განვლილ 35 წელიწადში საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ იგი ინდოეთის ნაცადი და ერთგული მეგობარია, რომელიც მუდამ ეხმარებოდა ინდოელ ხალხს მისი ძნელბედობის ჟამს. ასე მოხდა 1961 წელს, როცა ინდოეთი იბრძოდა თავის მიწა-წყალზე კოლონიალიზმის უკანასკნელი ბასტიონის მოსასპობად გოაში, რომელიც პორტუგალიელ დამპყრობთა სამფლობელოს წარმოადგენდა. სწორედ საბჭოთა კავშირმა დაუჭირა მტკიცედ მხარი ინდოეთს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ათი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ურყევმა და თანამიმდევრულმა პოზიციამ განაპირობა ის, რომ თავიდან იქნა აცილებული ექსპანსიონისტური ძალების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების და მისი მოკავშირეების ჩარევა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის ქვეყნების საშინაო საქმეებში და ცხოს ბანგლადეშის სუვერენიტეტი.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს ინდოეთის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, აზიის სტაბილურობის ერთ-ერთ მტკიცე ფაქტორად მიაჩნია იგი.

ორი მეგობარი ქვეყანა ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთიანი მიზნით — იბრძოლონ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის, კოლონიალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. პრაქტიკამ ცხადყო საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო ამ ორი ქვეყნის საარსებო ინტერესებისა და უშიშროებისათვის, არამედ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ურთიერთობის მთელი ისტორიისათვის დამახასიათებელია ორმხრივი მისწრაფება გააფართოონ და გააღრმაონ მრავალმხრივი კავშირი ორ ქვეყანას შორის. ამის ნათელი მაგალითია ფართო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობანი. ინდოეთის პრესა აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკა თავის ეკონომიკურ მიღწევებს საბჭოთა კავშირის დახმარებას უნდა უმადლოდეს, ფართო ეკონომიკურ თანამშრომლობას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ ოცდახუთი წლის წინათ, როცა სსრ კავშირის ხელშეწყობით დაიწყო ინდოეთის სახელმწიფო სექტორში ინდოეთის მეტალურგიის პირმშოს — ბჰილაის ფოლადსამსხმელო ქარხნის მშენებლობა. მთლიანად კი საბჭოთა ქვეყნის ტექნიკური და ეკონომიკური დახმარებით აიგო ან იგება 80-მდე სამრეწველო და სხვა ობიექტი. ისინი ამჟამად უშვებენ ინდოეთში წარმოებული მეტალურგიული მოწყობილობის 80 პროცენტს, ნავთობის 70 პროცენტს, ფოლადის 35 პროცენტს, ელექტროენერგიის მეხუთედს. მეორე მხრივ, წლითიწლობით იზრდება ინდოეთის საქონლის ექსპორტი სსრ კავშირში.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მრავალმხრივ ურთიერთობათა მტკიცე საფუძველია ამ ორი ქვეყნის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც 1971 წელს დაიდო. მის საფუძველზე ვითარდება ურთიერთხელსაყრელი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირურთიერთობა. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთნდობის განმტკიცებაში არსებით როლს ასრულებს ორი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა რეგულარული კონტაქტები, უწინარეს ყოვლისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ი. განდის შეხვედრები და მოლაპარაკებანი, რომელთა მსვლელობაში აჯამებენ თანამშრომლობის შედეგებს და სახავენ ახალ მიჯნებს.

ღრმა, მტკიცე ურთიერთობა აკავშირებთ ორი ქვეყნის ხალხებს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის სფეროში. ყოველივე ეს ხდება მიუხედავად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის მტკიცე დაცვით. „ამ საფუძველზე, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა ამას წინათ ტაშკენტში გამოსვლისას, —მტკიცდება ჩვენი სახელმწიფოების, მათი ხელმძღვანელების ურთიერთნდობის გრძნობა, ეს კი დღეს უდიდესი, ფასდაუდებელი კაპიტალია. იგი მნიშვნელოვანწილად განამტკიცებს ორივე მხარის უშიშროების გრძნობას. იგი ქმნის აზიის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის დიდ ზონას. ეს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს საშუალებას აძლევს წარმატებით იმოქმედონ საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების საქმეში".

ინდოეთში ფართოდ აღინიშნება სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 35 წლის თავი. ამის გამო გამართულ მასობრივ მიტინგებსა და კრებებზე აღნიშნავენ, რომ იმპერიალისტური და ჰეგემონისტური წრეები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ ძლიერი ინდოეთი, კვლავ ცდილობენ ააცდინონ იგი არჩეულ გზას, შეცვალონ მისი პოზიცია ბევრ საერთაშორისო საკითხში, შეასუსტონ საშინაოპოლიტიკური ვითარება რელიგიურ-თემური შუღლის ჩამოგდების გზით.

ინდოეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის პაკისტანის გამალებული შეიარაღება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის დახმარებით, ამერიკის სამხედრო ყოფნის გაძლიერება ინდოეთის ოკეანის აუზში. ინდოეთის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე პრესა, არსებულ პირობებში განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დიდ თ ი დ ღ ე მზარდ მეგობრობას.

ამას წინათ ინდოეთის დედაქალაქში ჟურნალ „სოვიეტ ლენდის" გამომცემლობის ინიციატივით გამართული კონფერენციის — „მრგვალი მაგიდის" მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას ინდოეთის ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში ტ. ნ. კაულმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობა მყარია და მტკიცე საფუძველს უქმნის სამხრეთ აზიის რაიონის უშიშროებას. საბჭოთა კავშირის მეგობრული მხარდაჭერა განამტკიცებს ინდოეთის პოზიციებს იმპერიალიზმის, რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, დასძინა მან.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კავშირურთიერთობანი შედუღაბებულია ორივე მხარისათვის სასარგებლო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობით.

* * *



სურათზე: „ბჰაკრა-ნანგალი"— ასე ჰქვია პენჯაბის შტატში მდინარე სატლეჯზე აგებულ ჰიდროენერგეტიკულ კომპლექსს. მისი სახელწოდება კარგად არის ცნობილი მთელ ქვეყანაში. 600 ათასი კილოვატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა.

საქდესის ფოტო.

ინგლის-არგენტინის კონფლიქტი

• „საერთო ბაზრის" მტრული აქცია • ა. ჰეიგის უშედეგო მოლაპარაკება • კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის

ბუენოს-აირესი. არგენტინის მთავრობამ დაგმო „საერთო ბაზრის" წევრი ქვეყნების გადაწყვეტილება ემბარგო დაადონ არგენტინის საქონლის იმპორტს ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო ინგლის-არგენტინის კონფლიქტთან დაკავშირებით.

არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევენ სერიოზულ მტრულ აქტად, რომელიც საშიშ პრეცენდენტს ქმნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის, კერძოდ, განვითარებად და განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებს შორის. საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ არგენტინა იტოვებს უფლებას განახორციელოს საპასუხო ღონისძიებანი.

არგენტინის დედაქალაქში გაიმართა საზოგადოებრიობის მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელიც მოეწყო პოლიტიკური, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოწოდებით დიდი ბრიტანეთის ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის, მისი იმ ცდების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ შეიარაღებული გზით გადაწყვიტოს კონფლიქტი.

დემონსტრაციის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა ლეოპოლდო გალტიერიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში არგენტინა მზად არის აწარმოოს საომარი მოქმედება.

პრეზიდენტის კანცელარიის მდივანმა საზოგადოებრივი ინფორმაციის საკითხებში როდოლფო ბალტიერესმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის ვიზიტს ბუენოს-აირესში და მის მოლაპარაკებას არგენტინის მაღალი თანამდებობის წარმომადგენლებთან „არავითარი გადაწყვეტილება არ მოჰყოლია".

ჰეიგი დაბრუნდა ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოლაპარაკების განგრძობისათვის.

ლონდონი. ინგლისის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, რომ ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო არმადა მიემართება ფოლკლენდის არქიპელაგისაკენ მოძრაობის „დადგენილი კურსისა და გრაფიკის" დაცვით.

როგორც გაზეთი „სანდი მირორი" იუწყება, ჩილეში ჩავიდა ინგლისის სამხედრო დელეგაცია, რომელიც პინოჩეტის რეჟიმთან ერთად განიხილავს პუნტო-არენასში ჩილეს სამხედრო ბაზის ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისათვის დათმობის პირობებს.

დიდი ბრიტანეთის მემარჯვენე პრესაში შოვინისტური კამპანიის გამწვავებისა და მთავრობის წარმომადგენელთა მტრული განცხადებების მიუხედავად პრესის ბევრი ორგანო მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ძიებასა და აკრიტიკებს კონსერვატორთა კაბინეტის სამხედრო მზადებას.

ჟენევა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ხ. პერეს დე კუელიარი ვადამდე ამთავრებს მოგზაურობას ევროპის ქვეყნებში და ბრუნდება ნიუ-იორკს საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში, იმასთან დაკავშირებით, რომ მწვავდება ინგლის-არგენტინის კონფლიქტი.

რომი. რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა იოანე პავლე მეორემ ინგლისს და არგენტინას მოუწოდა თავიდან აიცილონ სისხლისღვრა და წარმოქმნილი კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოაწესრიგონ.

შემთხვევა

მოსახლეობა გახიზნეს

ვაშინგტონი. იმის გამო, რომ ქალაქის გარეუბანში მდებარე ქიმიურ ქარხანაში მოხდა ქლორის დიდი რაოდენობით გაჟონვა, მთლიანად გახიზნეს ამერიკის ქ. ბელის (დასავლეთ ვირჯინიის შტატი) მოსახლეობა. „ქიმიური განგაში" ატყდა დილით ადრე. პოლიციამ გამოიყენა მძლავრი სირენები და რეპროდუქტორები ქალაქის მცხოვრებთა გასაღვიძებლად. გაზის გაჟონვის შეწყვეტა მოხერხდა მხოლოდ საათ-ნახევრის შემდეგ. თერთმეტი კაცი საავადმყოფოში მოათავსეს.

გზა მშვიდობისა „საქართველოს სტუდენტო"!

ეს მოგზაურობა მშვენიერ შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო კარგად დავისვენოთ, არამედ გავიფართოვოთ კიდევაც ჩვენი თვალსაწიერი, და რაც მთავარია, დავათვალიეროთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდებით მოსილი ადგილები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ნინო ლობიძემ. მის აზრს ერთსულოვნად იზიარებენ მომავალი ფილოლოგებიც დალი მაჩაიძე, გუგული ბატაძე, მზია მამუჩაშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონიკის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ლომინაძე... ისინი სპეციალიზებული ტურისტული მატარებლის „საქართველოს სტუდენტის" მგზავრები არიან, რომელიც 10 აპრილს ჩამოსამდგარი(?) სტუდენტური დღეების პროგრამით რესპუბლიკის დედაქალაქიდან გამგზავრდა მარშრუტით: ხარკოვი-კიევი - პოლტავა-დონის როსტოვი-თბილისი.

ეს უკვე ტრადიციაა. ყოველწლივ, სტუდენტური გაზაფხულის დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, თბილისის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროსთან ერთად აწყობს საინტერესო მოგზაურობებს ქვეყანაში, რომლის მონაწილეებიც ხდებიან საუკეთესო სტუდენტები.

(საქინფორმი).

ზომები მიღებულია

საქართველოს სსრ პროკურატურაში

რესპუბლიკის პროკურატურაში სიგნალი მოვიდა: საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში ცუდად მუშაობს საკონტროლო-სარევიზიო სამსახური. შემოწმება ხდება ფორმალურად, ჩქმალავენ კანონიერების უხეში დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, 1980 წლის აპრილში №9 ტრესტის №1 სამმართველოში კომპლექსური შემოწმების დროს რევიზორებმა ა. ლომიძემ და თ. ჯამმა გამოავლინეს თხუთმეტი ათას მანეთზე მეტი ღირებულების წამატებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. სსრ კავშირის მშენბანკის რესპუბლიკური კანტორის კონტროლიორებმა საგულდაგულო და ობიექტური შემოწმების შემდეგ დააზუსტეს, რომ წამატება 198 ათას მანეთს შეადგენს. აჰა მეორე მაგალითი: უფროსმა ინჟინერმა გ. ჯავრიშვილმა ბათუმის № 5 ტრესტის ზოგიერთ ობიექტზე რევიზიის დროს აღმოაჩინა შეუსრულებელ სამუშაოთა 23,1 ათასი მანეთის წანამატი. მშენბანკის სპეციალისტებმა უფრო ზუსტად გაარკვიეს: რეალური თანხა 270 ათას მანეთს უდრიდა.

პროკურატურის მუშაკებმა, რომლებმაც რევიზორთა რევიზია მოაწყვეს, გამოავლინეს სხვა საძრახისი ფაქტებიც. მაგალითად, შემოწმებაში ხშირად მონაწილეობდნენ არაკომპეტენტური პირები ან საეჭვო რეპუტაციის სპეციალისტები. რევიზიის შედეგებს ან საერთოდ არ განიხილავდნენ, ან, თუ იხილავდნენ, დაგვიანებით, ხოლო ფინანსური დისციპლინის უხეში დარღვევების, სახელმწიფო სახსრების დატაცების შესახებ რევიზიის აქტები დიდი დაგვიანებით გადაეცემოდა საგამოძიებო ორგანოებს. ასე იყო, მაგალითად, №7 ტრესტის №300 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში მოწყობილი რევიზიის აქტთან დაკავშირებით. ეს მასალები ჩამორთმეულ იქნა პროკურატურის მუშაკთა მიერ. გამოძიებას ეწევა წალკის რაიონული პროკურატურა.

დამადასტურებელი საბუთები რომ მიიღო, რესპუბლიკის პროკურატურამ წარდგინებით მიმართა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

რესპუბლიკის პროკურატურის შემოწმების შედეგები განიხილეს მშენებლობის სამინისტროს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. აქ პრინციპული შეფასება მისცეს ნეგატიურ ფაქტებს, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი საკონტროლო-სარევიზიო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, კადრების გაწმენდისათვის. აქტივის კრებას ეუწყა, რომ პროკურატურის წარდგინების შესაბამისად თანამდებობიდან მოხსნეს თერთმეტი რევიზორი, აგრეთვე სამმართველოს უფროსი გ. ჭელიძე და მისი მოადგილე შ. ქოქოლია. საკონტროლო-სარევიზიო სამსახური ახლა უშუალოდ დაექვემდებარა მინისტრს. განხორციელებულია უსისტემო შემოწმების აღმოფხვრის ღონისძიებანი.

სანიმუშო წესრიგისათვის

როგორ უზრუნველვყოთ საუკეთესო დასვენება ჩვენი რესპუბლიკის სტუმრებისათვის? როგორ მოვიქცეთ, რომ მათ არაფერმა დაურღვიოს სიმშვიდე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ზაფხულის საკურორტო სეზონის წინ მარტო მედიკოსები, ექსკურსიათმძღოლები, დასასვენებელი სახლებისა და ტურბაზების პერსონალი როდი ემზადებიან. ცხინვალში გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გასვლითი სხდომა, რომელმაც განიხილა ისეთი პრობლემები, როგორიც არის 1982 წლის ზაფხულის საკურორტო სეზონის პერიოდისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

კოლეგიის სხდომაზე მიწვეული იყვნენ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს, სახელმწიფო ავტოინსპექციის, საკურორტო ზონის შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის და პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოების ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა გ. ი. გვეტაძემ და პრობლემის განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის სამ თვეში ოპერატიული ვითარება მთლიანად რესპუბლიკაში გაჯანსაღდა, შემცირდა დანაშაულთა რიცხვი, გაუმჯობესდა მათი გახსნის საქმე. საკურორტო ქალაქები იღებენ თანამედროვე ოპერატიულ და კრიმინალისტურ ტექნიკას, გამოცდილ მუშაკებს საპატრულო-საგუშაგო და საპასპორტო სამსახურები, სისხლის სამართლის სამძებროსა და სახელმწიფო ავტოინსპექციის აპარატის განსამტკიცებლად.

მაგრამ მარტო მილიციის მეცადინეობით ძნელია სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა. რესპუბლიკის მთელმა საზოგადოებრიობამ ულმობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ხულიგნებს, სპეკულანტებს, თაღლითებს, ავტოტრანსპორტის მძღოლებს, ყველა იმას, ვისაც შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენი სტუმრების დასვენებას. ამის გათვალისწინებით სხდომაზე მიიღეს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი და სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე თ. შ. კაბულოვი. (საქინფორმი).

მოგზაურობა

პლანეტის ორივე პოლუსზე

ლონდონი. 11 აპრილს დილით ორმა ინგლისელმა მოგზაურმა — რანულფ ფაიენსმა და ჩარლზ ბარტონმა ჩრდილოეთის პოლუსს მიაღწიეს. ამით დამთავრდა დედამიწის გარშემო მათი მოგზაურობა დედამიწის ორი პოლუსის გავლით. ექსპედიცია დაიწყო 1979 წლის 11 სექტემბერს გრინვიჩში, ლონდონის მახლობლად. მას შემდეგ რ. ფაიენსმა და ჩ. ბარტონმა 88 ათასი კილომეტრი გაიარეს.

ორი წლის წინათ მათ მიაღწიეს სამხრეთის პოლუსს და მაშინვე კურსი აიღეს ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. 58 დღის წინათ კი მკვლევარები ცანადის ელსმირის კუნძულიდან არქტიკისაკენ გაემართნენ. ამ ხნის მანძილზე მათ არქტიკის ყინულებში 800 კილომეტრზე მეტი დაფარეს. გზის უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც ანტარქტიდაში, რ. ფაიენსმა და ჩ. ბარტონმა მოტომარხილებით გაიარეს. ისინი ერთადერთი მოგზაურები არიან, რომლებიც პლანეტის ორივე პოლუსზე იყვნენ.

ტვინი შეიცნობს თავის საიდუმლოებებს

სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში რეგისტრირებულია საბჭოთა მეცნიერების 250-ე აღმოჩენა. მისი დასახელება ასეთია: „მაგისტრალური და პიალური არტერიებით ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციის მოვლენა". იგი ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გიორგი მჭედლიშვილს.

მეცნიერების
ჰორიზონტები
ფართოვდება

ეს ერთ-ერთი ისეთი შემთხვევაა, როცა თვით კვლევის საგანი გახდა აღმოჩენის საშუალება: ტვინმა ერთ-ერთი თავისი საიდუმლოება შეიცნო. დღესაც კი, ელექტრონიკის ხანაში, როცა ადამიანის ტვინზე ვლაპარაკობთ, კვლავინდებურად გვაოცებს მისი სტრუქტურული ორგანიზაციის სრულყოფილება და მილიარდობით ნერვული უჯრედის ურთიერთკავშირი. მაგრამ არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ჩინებულად რეგულირებული „სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემაც". რას შევადაროთ იგი? ურთულესი საირიგაციო ნაგებობების უკანასკნელ პროექტებს? ამის გაგონებაზე აღმოჩენის ავტორს სკეპტიკურად გაეღიმა და გვიჩვენა თავის ტვინის სისხლძარღვების სისტემის თავისეული სქემა. და როგორც კი გადავხედეთ ერთმანეთში გადახლართულ არტერიებს, კაპილარებს, ვენებს, როგორც კი ზერელედ გავეცანით მათ ფუნქციებსა და დანიშნულებას, მაშინვე მივხვდით, რა უსუსურად გამოიყურებოდა ჩვენი შედარება. თავის ტვინის სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის უამრავ საიდუმლოებას რომ სწავლობდნენ, გ. მჭედლიშვილმა და მისმა თანამშრომლებმა მთავარი ყურადღება დაუთმეს ლამის ურთულეს საიდუმლოებას: რომელი სისტემები და რა ხერხით მართავენ ტვინში სისხლის მიმოქცევას? აქვე უნდა ითქვას, რომ საუკუნეზე მეტ ხანს ბატონობდა ორი ინგლისელი მეცნიერის წარმოდგენა (ეგრეთ წოდებული მონრო-კელის დოქტრინა), რომლის თანახმად ტვინში სისხლის მიმოქცევის ინტენსიურობა საერთოდ არ იცვლება და არ რეგულირდება. ჩვენი საუკუნის დამდეგს ეჭვი გაუჩნდათ ამ პოსტულატის სისწორის მიმართ. იქმნებოდა სხვა კონცეფციები, მაგრამ ამაოდ ეძებდნენ მათ საფუძველზე ტვინში სისხლის მიმოქცევის სხვადასხვა დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებებს.

სწორედ ამან შთააგონა ქართველ მკვლევარს, რომელიც ცნობილი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის ვ. ვორონინის ხელმძღვანელობით მუშაობდა, დაეწყო ძიება. პირველ წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა მოაწყო ექსპერიმენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო ტვინის უწვრილეს სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევის შესწავლასთან. გ. მჭედლიშვილმა სცადა დაედგინა, სად და როგორ გუბდება სისხლი, თუ ხელოვნურად გააძნელებდნენ მის გამოდენას ტვინის ქსოვილიდან. შედეგი საოცარი აღმოჩნდა. თურმე, არავითარი სისხლის შეგუბება და, მაშასადამე, ტვინის ქსოვილის არავითარი შემჭიდროება არ ხდებოდა. საკმარისი იყო შეეკავებინათ სისხლის ზედმეტი „ულუფა", რომ მაშინვე საჭირო სიდიდით სუსტდებოდა სისხლის მოდინება და ხელოვნურად გამოწვეული დარღვევა აღიკვეთებოდა.

მაშ, ვინ არის ის ჯადოქარი, რომელიც ტვინს იცავს ზედმეტი „საზრდოსაგან"? მას მრავალი თვის დაძაბული შრომის შემდეგ მიაგნო. ეს მექანიზმი აღმოჩნდა ტვინის მსხვილი, ეგრეთ წოდებული შინაგანი საძილე და ხერხემლის არტერიები, რომელთა სისტემას მაგისტრალური ეწოდა. უდავოდ დამტკიცდა, რომ ისინი არა მარტო არეგულირებენ ტვინის სისხლძარღვებში სისხლის მოდინების მოცულობას, არამედ უზრუნველყოფენ კიდეც მისი მოდინების მუდმივობას საერთო არტერიული წნევის დონის ცვლილებათა მიუხედავად.

საინტერესოა, რომ ამ ექსპერიმენტულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ავადმყოფებისათვის, რომლებსაც ჰიპერტონია სჭირთ, არამედ ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანებისათვისაც. ბევრმა ხომ არც კი იცის, რომ ნებისმიერ ადამიანს საკმაოდ ხშირად ემართება წნევის ხანმოკლე ცვლილებები. აქ მთავარ როლს ასრულებენ როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ემოციები (მაგალითად, ფეხბურთის მაყურებლებს). და ხშირად წნევის ძალზე მკვეთრი ცვლილებების მიუხედავად, მათი ტვინი ამას ვერ გრძნობს — იმდენად სრულყოფილია მისი მაგისტრალური არტერიების რეგულატორული უნარი.

მკვლევარმა თითქოს ამოხსნა საიდუმლოება, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ უნდა განეგრძო ძიება. ახალი ამოცანები წამოიჭრა, როცა მან დაიწყო იმის შესწავლა, თუ რა დამოკიდებულებაა სისხლის მოდენაზე ტვინის ქსოვილის მოთხოვნილებასა და ამ ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის ინტენსიურობას შორის. თურმე, მსხვილი არტერიები არც ისე „ყოვლისშემძლენი" ყოფილან და ამ პროცესთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ. კვლავ დაიწყო ექსპერიმენტები.

ამის შედეგად თანდათან ისახებოდა იმ მექანიზმების ზოგადი სურათი, რომლებიც არეგულირებენ ტვინში სისხლის მიმოქცევას. კიდევ ერთი „საკომანდო" რგოლი აღმოჩნდა ტვინის ზედაპირზე ფართოდ დაქსელილი წვრილი, ეგრეთ წოდებული პიალური არტერიები. სწორედ ისინი ახორციელებენ ქვების პროდუქტებით ტვინის მომარაგების რეგულირების „ადგილობრივ ხელმძღვანელობას" მის ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის დონის შესაბამისად.

ასე გამოვლინდა ტვინში სისხლის მიმოქცევის რეგულირების ზოგადი მექანიზმი, რაც რეგისტრირებულია აღმოჩენად. შემდგომმა ძიებამ საბჭოთა მეცნიერები, რომლებიც არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვსა და ლენინგრადშიც მუშაობენ, მიიყვანა დასკვნამდე, რომ ამ მექანიზმს ძირითადად სისხლძარღვების ნერვები მართავენ. ახლა ეს კონცეფცია საყოველთაოდ არის აღიარებული.

ქართველი მეცნიერების მიერ იმ თავისებური მექანიზმის აღმოჩენამ, რომელიც მართავს თავის ტვინის არტერიული სისტემის სხვადასხვა ნაწილს, მარტოოდენ თეორიული არსენალით როდი გაამდიდრა ბიომედიცინის მეცნიერება. ძალზე მნიშვნელოვანია სხვა რამეც: მან მტკიცე საფუძველი შეუქმნა ტვინში სისხლის მიმოქცევის სხვადასხვა დარღვევის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ეფექტიანობის გადიდებას. ეს უწინარესად შეეხება ისეთ მძიმე დაავადებებს, როგორიც არის ტვინის ისქემია (იშემია), შეშუპება და მისი არტერიების სპაზმი.

— ჩვენი აღმოჩენის პრაქტიკული გამოყენების მთავარი წარმატებანი ჯერ წინ გველის, — თქვა გ. მჭედლიშვილმა, — მაგრამ ზოგიერთ რამეს უკვე მივაღწიეთ. მაგალითად, შეცნობილია თავის ტვინის არტერიების სპაზმის ბუნება. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული კლინიკური მედიცინის ცენტრში მომუშავე კოლეგებთან ერთად ჩვენ შევისწავლეთ თავის ტვინის იშემიის განვითარების ზოგიერთი საკითხი. ალბათ, მალე ამოვხსნით იმ შეშუპების მექანიზმის იდუმალებასაც, რომელიც ჩვეულებრივ მძიმე ტრამვების შემდეგ წარმოიშობა. უნგრელ მეცნიერებთან ერთად ვაფართოვებთ მუშაობას სპაზმის საწინააღმდეგო პრეპარატების ეფექტიანობის აპრობაციის დარგში. ზოგიერთი მათგანი უკვე იყიდება, დანარჩენები დამზადების სტადიაშია. კვლევა გრძელდება. ის პრობლემები ხომ, რომლებზეც ჩვენ ვმუშაობთ, უბრალოდ „მოდაში" კი არ არის, არამედ მარადიულია.

ვ. ვოლნოვი,
სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის პრეს-ცენტრის კორესპონდენტი.
„პრავდა". 1982 წ. 11/IV.

ამაგის დაფასება

მახარაძე. (საკ. კორ.). ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, უბრალო პროვიზორია ზაქარია ინწკირველი, აგერ თითქმის 50 წელი შეალია მან თავის პროფესიას. 40 წელი უცვლელად ედგა სათავეში მახარაძის რაიონის სააფთიაქო სამმართველოს.

ზაქარია ინწკირველი დიდი სამამულო ომის წლებში მამაცურად იბრძოდა როსტოვის, სტალინგრადის, კიევის, ლვოვის ფრონტებზე. გამოჩენილი მამაცობისათვის მიღებული აქვს წითელი ვარსკვლავის ორდენი, მრავალი მედალი, ომის შემდგომ წლებში კეთილსინდისიერი შრომისათვის დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის წოდება.

ამ დღეებში დაბადების 80 წელი შეუსრულდა ღვაწლმოსილ პროვიზორს. რაიონის ფარმაცევტულმა საზოგადოებამ, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ორგანიზაციამ, რაიონის მშრომელთა წარმომადგენლებმა ანასეულის კულტურის სახლში მოაწყვეს ზ. ინწკირველის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ამაგდარ ადამიანს გულთბილად მიესალმნენ რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სახვითი ხელოვნების დარბაზებში

მხატვრის გახსენება



უბედური შემთხვევის გამო 1966 წელს მოულოდნელად წავიდა ჩვენგან ერთ-ერთი ნიჭიერი ფერმწერი ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძე. ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე მან მაინც მოასწრო საკუთარი სიტყვის თქმა და ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისმცემელთა აღიარება მოიპოვა. დღეს იგი 60 წლისა იქნებოდა... ცხოვრებაში უფრო გამობრძმედილი, მრავლის მნახველი და შემოქმედებითადაც უფრო მრავალმხრივი... თბილისური საგაზაფხულო ვერნისაჟის დამამშვენებელი გახდა მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც ამას წინათ სურათების სახელმწიფო გალერეაში გაიხსნა. ექსპოზიციაში იყო 1954-1966 წლებში შექმნილი ნაწარმოებები. თითოეული მათგანი მხატვრის მიერ გულწრფელად განცდილი და მნახველამდე საოცარი სულიერი სიფაქიზით არის მოტანილი.

მშობლიური ქვეყნის სიყვარულით გაცისკროვნებულია მისი პეიზაჟები, რომელთაგან განსაკუთრებულ სიმპათიას იმსახურებს „მეგრული სამზადი", „სამეგრელო", „წისქვილთან", „ძველი გაგრა", „საღამო სვანეთში", „ქართალი", „სოფელი სიონი", „გელათი". ვერ ვიტყოდით, თითქოსდა ლ. ძაძამიძე სპეციალურად ქმნიდეს არქიტექტურულ პეიზაჟებს, მაგრამ ექსპოზიციაში წარმოდგენილი მისი ნამუშევრები ნათლად გვიჩვენებს ქართული ძეგლებისადმი მის საოცარ სათუთ დამოკიდებულებას, მის ინდივიდუალურ მხატვრულ აღქმას. ძველი და ახალი თბილისი, ძველი და ახალი ქუთაისი თავისი აივნებითა და ვიწრო ქუჩებით — ყოველივე ეს მოცემულია ფართო მონასმებითა და მსუყე კოლორიტით, მსუბუქად და სხარტად აგებული კომპოზიციებით. ასევე ლაღად იკითხება ლ. ძაძამიძის მიერ დიდი ექსპრესიით დაწერილი სვანეთის, აფხაზეთის, მესხეთ-ჯავახეთის, კახეთის, იმერეთის ციკლი. გარდასულ დროთა პოეტური საბურველით არის შემოსილი „ძველი ხიდი".

შეიძლება ჟანრულ სურათებს მივაკუთვნოთ ნაწარმოებები: „ბაზარი", „ახალი უნივერმაღი", „შავი ზღვა". თანამედროვე ცხოვრების რიტმია ჩაქსოვილი ტილოებში „ტყვარჩელი", „ამწეები", „საგუშაგოზე".

ლ. ძაძამიძე უფრო მეტად შემოდგომის სურათებს ხატავდა, ალბათ იმიტომ, რომ შემოდგომა სიუხვის დროა — უხვია დოვლათით, ფერებით, განცდებით. მხატვრის საშემოდგომო ნამუშევრები სავსეა ცხოვრებისეული სიმართლითა და პოეტურობით. ჩვენს წინაშეა „შემოდგომა სამეგრელოში", „შემოდგომის მიწურული", „ოქროს შემოდგომა", „შემოდგომის ქარი", „შემოდგომა ცაიში", „შემოდგომის დღე", „შემოდგომა ვარძიაში". ერთი შეხედვით, თითქოსდა ისინი ერთმანეთის მსგავსია, მხატვრის ერთი ძლიერი ამოსუნთქვის ნაყოფია. მაგრამ თუ დაუკვირდებით, რაოდენ განსხვავებას დაინახავთ მათში! ყოველი მათგანი, ცალ-ცალკე აღებული, მხატვრის ცხოვრების სხვადასხვა ფურცელს წარმოადგენს.

ლ. ძაძამიძის, როგორც შემოქმედის, მხატვრული ხელწერა საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავწვდეთ ამა თუ იმ პეიზაჟში ჩაქსოვილ ავტორისეულ ჩანაფიქრს. გავიხსენოთ „სიჩუმე". ამ პეიზაჟში თითქოს ყველაფერი უმოძრაოდ არის მოცემული, არაფერი არ ირხევა. ბალახი, ხეები, მთები, ცა — ყველაფერი დუმს. საოცარი სიჩუმეა ირგვლივ, მაგრამ ამ სიჩუმეში რაღაც ფარული იმედის ზარი რეკავს. დიახ, სიჩუმე, მწვანე სიჩუმე რეკავს. აი ამ სიჩუმის ლოგიკური მაჟორული გამოძახილია „გაზაფხულის ბალახი", „ზაფხულის დღე", „დეკემბერი".

მხატვარი რამდენჯერმე უბრუნდება ერთსა და იმავე თემას, სახელდობრ, ზამთარს. მრავალ ზამთართაგან ყველაზე მეტად საინტერესოა თბილისში შესრულებული ზამთრის სამი სურათი. ერთი შეხედვით, თითქოს სამივე კომპოზიცია ერთი დიდი სურათის სხვადასხვა ვარიანტია, სინამდვილეში კი ისინი მარტოოდენ გარეგნული ფორმით არიან მსგავსნი, ხოლო შინაგანად სულ სხვადასხვა ემოციებით აღსავსენი.

ლ. ძაძამიძე მისთვის დამახასიათებელი პოეტურობით ქმნის წვიმიანი დღეების სურათებს. თავისი მრთოლვარე გულით ხან დრამატულს, ხან კი მხიარულ განწყობილებებს გადმოგვცემს და ერთი წუთითაც კი არ ეკარგება ცხოვრების იმპულსის ერთიანობა.

მხატვარი ბევრს მოგზაურობდა. იგი დიდი გულისყურით სწავლობდა არა მარტო მშობლიური ქვეყნის კუთხე-ალაგს, არამედ მოძმე რესპუბლიკათა ღირსშესანიშნაობებს, იქაურ ზნე-ჩვეულებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბალტიისპირეთსა და დაღესტანში მოგზაურობის შედეგად შექმნილი ნაწარმოებები: „შემოდგომა კლაიპედაში", „ფალანგა", „ტალინი", „ბალტიისპირეთი", „პორტი", „არაკანი", „მეჩეთი", „აული დაღესტანში"... ეს ორი, სულ სხვადასხვა ეთნოგრაფიული სახის მქონე მხარე ავტორს დაუხატავს ღრმა ცოდნითა და პროფესიული ოსტატობით. ერთგან გხიბლავთ სარკესავით ლაპლაპა ბალტიის ზღვა, წარსულ საუკუნეთა დაღდასმული შენობები, მეორეგან სივრცეში აწვდილი მეჩეთები და მინარეთები, განსაცვიფრებელი და ტერასებული აულები.

ლ. ძაძამიძის ნამუშევართა გამოფენამ ფართო საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენ წინაშე წარმოდგა თვისთავადი ხელოვანი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ინდივიდუალური ხელწერით და სამყაროს თავისებური აღქმით. მარიტ ხელოვნებას დავიწყება ნამდვილად არ უწერია. იგი ხალხის კუთვნილებაა. ჰოდა, ლ. ძაძამიძის ხელოვნებაც, რომელიც ასე გამთბარია ადამიანური სიყვარულით, ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის ერთი ლამაზი ფურცელია.

ნ. ელიაშვილი.

სურათებზე: ლ. ძაძამიძის ფერწერული კომპოზიციები „წისქვილთან" და „სახლი იმერეთში".

ბარაქალა, მოხევეთა რძალო!

ყაზბეგი. საქართველოს მრავალ კუთხეში უკვე ძალუმად იგრძნობა წელიწადის ყველაზე სანუკვარი დროის სუნთქვა. მაღალმთიან ყაზბეგში კი კვლავ სუსხი ბატონობს.

დილაა. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს ბელურების ჟღურტული არღვევს, რომელსაც თერგისპირა სახლის ეზოდან გამოსული ბავშვების ჟრიამული ეერთდება.

რამდენიმე წელია ამ სახლიდან ადამიანის ხმა არ გამოსულა, დღეს კი მოზრდილი ეზო თითქოს ვეღარც კი ყოფნის სათამაშოდ სიცოცხლით სავსე შვიდ ბავშვს — ექვს ძმასა და ერთ დას. ამ თერგისპირა სახლში ომარ ღუდუშაურისა და თამარ მეტრეველის ახალგაზრდა ოჯახს დაუდევს ბინა. ადრე ოჯახი თბილისში ცხოვრობდა, ბავშვებიც დედაქალაქში დაიბადნენ და იზრდებოდნენ, ზაფხულობით თუ ჩამოვიდოდნენ ბებიასთან სტუმრად. შემოდგომაზე ყაზბეგიდან წასვლა ყოველთვის ნაღველს უტოვებდა ბავშვებს გულში. ანდა, რა „ღუდუშაურის გორის" მოხევეები იქნებოდნენ, რომ თავიანთი კუთხე არ ჰყვარებოდათ. ომარს ახარებდა შვილების ხევისაკენ ლტოლვა, ოჯახის ერთგულ დედასაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო და „ოჯახურმა საბჭომ" ხმების „აბსოლუტური უმრავლესობით" ყაზბეგში გადმოსახლება გადაწყვიტა. ეს კიდევ უფრო იმან დააჩქარა, რომ რაიონი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულების მუშაკთა კადრის ნაკლებობას განიცდიდა, ომარი და თამარი კი ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან. სიტყვა საქმედ იქცა.

შემოდგომაზე ჯორჯმა, ბესიკმა, მამუკამ, გოჩამ, ირმამ და ილიამ ყაზბეგის საშუალო სკოლაში გააგრძელეს სწავლა, პატარა არსენი კი მშობლებმა საბავშვო ბაღში მიაბარეს. ომარმა და თამარმა თავის საყვარელ საქმეს მოჰკიდეს ხელი.

ოთხიოდე თვე გავიდა მას შემდეგ. დიდთოვლობამ და ყინვამ ვერ შეაშინა მთეში დაბრუნებული ოჯახი. ერთმანეთისადმი უდიდესმა ყურადღებამ, ზრუნვამ და უსაზღვრო სიყვარულმა, რომელიც ქალბატონმა თამარმა აქვნიდანვე გააღვივა ბავშვებში, თავისი ქნა. ბავშვები ახალ სკოლაშიც კარგი სწავლითა და სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევიან.

განსაკუთრებით თამარის საქმიანობაზე გვინდა შევჩერდეთ, ვინაიდან არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგიყვანოს ამ სათნო ქალის, მრავალშვილიანი ქართველი დედის, ყაზბეგელების რძლის ენერგიამ, ოჯახისა და საქმისათვის თავდადებამ. იგი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს ბავშვების აღზრდას, შრომას და საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი არის ყაზბეგის რაიონული კულტურის სახლის მოძრავი კლუბის გამგე და აგიტმხატვრული კოლექტივის ხელმძღვანელი, პიონერთა სახლში ხელმძღვანელობს ვოკალურ წრეს, არის რაიონის სიმღერისა და ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლის ლოტბარი.

ბევრი რამის გაკეთება მოასწრო თამარმა ყაზბეგში ყოფნის მოკლე დროში. პიონერთა სახლში მოამზადა და რაიონის მოსახლეობას უჩვენა ე. ქსანიშვილის მუსიკალური ინსცენირება „ზამთრის ზეიმი". პიონერთა სახლში დასადგმელად ამზადებს შ. ჯოჯუას საბავშვო ოპერას „დათვის წვეულებას".

უყურებ ამ სანდომიან ქალს, შვიდი შვილის დედას და გული სიამით გევსება. ბარაქალა, ყაზბეგელების რძალო!

გ. სუჯაშვილი,
ყაზბეგის რაიგაზეთის „დარიალის" პასუხისმგებელი მდივანი.

დრო,
მოვლენები,
ამბები

ინფორმაცია—82

წიგნის თარო
„ალაშარამ" გამოსცა

სოხუმი. (საკ. კორ. ი. გობეჩია). გამომცემლობა „ალაშარამ" გამოსცა პოეტ მირიან მირნელის ახალი წიგნი „თბილი ჭილეები", რომელიც ბოლო ორ-სამ წელიწადში დაწერილ ლექსთა კრებულია. პოეტის შთაგონების წყაროა სამშობლო, მშობელი ხალხი, ადამიანის ფაქიზი გრძნობები.

წიგნის რედაქტორია მ. ხურცილავა.

„ჭადარი ქალაქში" პოეტ ჟივი ბერაიას ახალი წიგნია. აქ წარმოდგენილია ბოლო ორი წლის მანძილზე შექმნილი ლექსები, რომლებშიც პოეტი უმღერის მშობლიური მხარის სილამაზეს, მის წინსვლას, მეგობრობას, სიკეთეს, სიყვარულის მარად ძველ და მარად ახალ გრძნობას.

„ჭადარი ქალაქში" დასტამბა გამომცემლობა „ალაშარამ". მხატვრულად გააფორმა ნ. მგალობლიშვილმა.

აფხაზ კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს რუსლან კაპბას კარგად იცნობს მკითხველი. იგი მრავალი აფხაზი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაწერილი მონოგრაფიების ავტორია, გამოცემული აქვს აგრეთვე კრებულები თანამედროვე აფხაზური მწერლობის ცალკეულ საკითხებზე.

ახლახან გამომცემლობა „ალაშარამ" აფხაზურ ენაზე დასტამბა კრიტიკოსის ახალი წიგნი, რომელიც ეხება აფხაზი პროზაიკოსის, დრამატურგისა და კინოსცენარისტის შალოდია აჯინჯალის შემოქმედებას.

წიგნის რედაქტორია ზ. ბუთბა, მხატვარი — პ. ცქვიტარია.

● ●

„**იმის** ნახევარზე მეტი, რაც ბოლო 25 წლის მანძილზე შევქმენი, ანუ თითქმის იმის ნახევარი, რაც საერთოდ მნიშვნელოვანი დამიწერია, აქ, აფხაზეთშია დაწერილი", — ასე აღნიშნავდა კონსტანტინე სიმონოვი ერთ-ერთ თავის სტატიაში.

ცნობილი საბჭოთა მწერლის მეგობრულ და შემოქმედებითს კავშირს აფხაზეთთან ეძღვნება წიგნი „კონსტანტინე სიმონოვი აფხაზეთში", რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ალაშარამ". აფხაზეთის სახალხო პოეტი ბაგრატ შინკუბა ამ წიგნში სპეციალურ სტატიას უძღვნის კ. სიმონოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

წიგნი ილუსტრირებულია. იგი შეადგინა პოეტმა დ. ჩაჩხალიამ.

წყალდიდობა აჭარის მთიან რაიონებში

კოკისპირულმა წვიმებმა, რომლებიც თავს დაატყდა აჭარას, მთიან რაიონებში წყალდიდობა და მეწყრები გამოიწვია.

წყალდიდობამ მნიშვნელოვნად დააზიანა ბათუმ-ხულოს საავტომობილო გზა. ქედისა და შუახევის რაიონებში დაზიანდა ხიდები, მწყობრიდან გამოვიდა სასოფლო გზები, დაინგრა ნაპირსაცავი ნაგებობანი ქედის სატყეო მეურნეობის სამასალე ეზოსა და სოფელ მახუნცეთის კოლმეურნეობის ჰალახმელის უბნის რაიონებში, დატბორილია მათი ტერიტორიის ნაწილი. ზოგან დაზიანდა სარწყავი სისტემა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზები.

კოკისპირული წვიმების შედეგად შუახევისა და ქედის რაიონების მთელ რიგ მაღალი მთის სოფლებში ჩამოწვა მეწყრები.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის. აღადგენენ გზებს, ელექტრომომარაგებას და კავშირგაბმულობას.

(საქინფორმი).

ხელბურთელთა საკავშირო...

კალინინგრადში გრძელდება ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ეტაპის მატჩები. თბილისის „ქარიშხალმა" სამი შეხვედრა გამართა, 6 შესაძლებლიდან 5 ქულა დააგროვა და მეთერთმეტე ადგილიდან მეცხრეზე გადმოინაცვლა. თბილისელებმა თავდაპირველად რიგის „ცელტნიექსთან" ითამაშეს და ეს შეხვედრა ფრედ — 29:29 დაამთავრეს. მომდევნო ორი მატჩი კი მოიგეს: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან — 30:28, მოსკოვის „კუნცევოსთან" — 23:21. მეორე წრის დამთავრებამდე კიდევ სამი ტური დარჩა. ახლა ძნელია იმის თქმა, მოხვდებიან თუ არა თბილისელები იმ საუკეთესო ექვსეულში, რომელიც მედლებისათვის ბრძოლას განაგრძობს. ერთი კი საყურადღებოა, პათ კალინინგრადში პირველი შეხვედრები კარგად ჩაატარეს და, თუ ფინიშშიც ასეთივე ექნებათ, სულ ცოტა ბუტსაიდერთა სახიფათო ზონას მაინც დააღწევენ თავს.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: მინსკის ასკ — 30 ქულა, ცსკა — 29, „კუნცევო" — 25, ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 23, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 19, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 18, რიგის „ცელტნიექსი" და ჩელიაბინსკის „პოლიოტი" — 17-17, თბილისის „ქარიშხალი" — 16, კიევის ასკ — 15, კაუნასის „გრანიტასი" — 13, ქალაქ ტირასპოლის გუნდი — 6 ქულა.

თამაშობს „დინამოს" მეტოქე

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა მეტოქემ ლიეჟის „სტანდარდმა" ბელგიის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი გამართა „ლიერსთან". „სტანდარდი" ფრეს (1:1) დასჯერდა. ახლა ლიეჟელებს 29 შეხვედრიდან 40 ქულა აქვთ და კვლავ ლიდერობენ ჩემპიონატს. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალისტი „ანდერლეხტი".

პირველ ლიგაში

ბუშინ ლანჩხუთის „გურიამ" უმასპინძლა სიმფეროპოლის „ტავრიას". პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის ეს შეხვედრა დამთავრდა სიმფეროპოლელთა გამარჯვებით — 1:0.

მსგავნეთი—82

სესხი კიდეს

კონდურასის ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის მომავალი ქუთვნილი ჰონორარის ანგარიშში ფიფასგან ისესხა 100 ათასი დოლარი. ეს ფედერაცია ახლა დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდის და ფიფას დაუხმარებლად ძალიან გაუჭირდებოდა გუნდის მომზადება მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

შინმოუსვლელთა სტენდი

შუახევის რაიონის სოფ[...] ღლვანის ცენტრში არის შინმო[...]უსვლელთა სტენდი, რომელსა[ც] სოფელი თვალისჩინივით უვლ[ის]. სტენდთან მრავალფეროვანი ღო[...]ნისძიებები ეწყობა ხოლმე.

ახლახან აქ შეხვედრა მოეწყ[ო] ეს მესაზღვრეებსა და არმიაში გასაწვევ ახალგაზრდებს. მოხს[ე]ნებები „სამშობლო — უპირვე[ლ]ესი საზრუნავი" და „სსრ კავ[შირის] 60 წელი" წაიკითხეს სა[...]ზოგადოება „ცოდნის" ლექტო[...]რებმა ნოდარ და ოთარ ფუტკა[...]რაძეებმა. შემდეგ გოგინაურის სასოფლო კლუბის აგიტმხატვრ[ულ]მა ბრიგადამ კონცერტი გამა[რ]თა.

ა. ფუტკარაძე.

შ. ნ. ჯანჯღავას დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გა[...] მართება 13 და 14 აპრილს 2[...] საათზე განსვენებულის ბინაში — კამოს ქუჩა, 4.

15 აპრილს სამოქალაქო პანა[...]შვიდი გაიმართება 14 საათ[ზე] თბილისის ოფიცერთა სახლ[...] სახლში. გამოსვენება — 16 სა[...]ათზე.

დაკრძალვა მოხდება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. ერევანში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი. აქ კარგად ასპარეზობს თბილისელი ზ. სტურუა. მან მეექვსე ტურში ერევნელ ლ. ეოლიანთან გადადებული პარტია გამარჯვებით დაასრულა, მეშვიდე და მერვე ტურის პარტიები კი ერევნელ ს. ლპუტიანთან და ალმაათელ ე. ვლადიმიროვთან ყაიმით დაამთავრა. რვა ტურის შემდეგ 5,5 ქულით ლიდერობს ლპუტიანი. მ. ტალს 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, სტურუას და ვლადიმიროვს — 5-5, ხოლო სავონსა და ბაგიროვს — 4,5-4,5 ქულა.

კალათბურთი. მოსკოვში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. აქ საუკეთესო ოთხეულში მოასპარეზეთა შორის ყველაზე უკეთ გამოვიდა ცსკა (71 ქულა) და უკვე მეოცედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. ვერცხლის მედლები ხვდათ კიევის „სტროიტელის" კალათბურთელებს (68 ქულა), ბრინჯაოსი — მოსკოვის დინამოელებს (63). კაუნასის „ჟალგირისი" მეოთხე ადგილზე გამოვიდა (აგრეთვე 63 ქულა).

მხატვრული ტანვარჯიში. მოსკოვში დამთავრებულ ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზზე საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა ვილნიუსელმა დალია კუტკაიტემ. მეორე ადგილზე გამოვიდა ასტრახანელი გალინა ბელოგლაზოვა, მესამეზე — ვოლგოგრადელი ტატიანა ვორონცოვა.

წყალბურთი. ტრიესტში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველობა მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა. საბჭოთა წყალბურთელების გარდა ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ იუგოსლავიის, ავსტრალიის, იტალიის, ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები.

ცურვა. ვილნიუსში გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდების (13-14 წლის მოზარდებს შორის) ამხანაგური შეხვედრა. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს 20 სახეობის ცურვაში და მხოლოდ რვაში დათმეს პირველი ადგილი.

რეგბი. ქალაქ ჩირჩიკში საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები: საქართველოს გუნდებმა ასეთი შედეგებით დაამთავრეს: ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის გუნდი — კიევის „პოლიტეხნიკი" — 7:4, თბილისის „ლოკომოტივი"-კიევის „ავიატორი" — 13:9, თბილისის „ლოკომოტივი"-კიევის „პოლიტეხნიკი" — 0:13, ალმა-ათის ასკ-ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის გუნდი — 13:12.

ველოსპორტი. ქვემო საქსონიაში (გფრ) დაიწყო მრავალდღიანი ველორბოლა. პროლოგი (ტრასის სიგრძე 8,2 კმ) მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 11 წუთი და 4,64 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლონელები — 11.10,75, მესამეზე — ჰოლანდიელები — 11.19,58.

ინტერნაციონალური მეგობრობის წრე

ცხაკაია. საბჭოთა კავშირის გმირის ალ. წურწუმიას სახელობის პიონერთა სახლის ინტერნაციონალური მეგობრობის წრის „წითელი მიხაკის" მოსწავლეებს ხშირი მიმოწერა აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების თანატოლებთან. ცხაკაიელთა დელეგაცია მიწვეული იყო ტერნოპოლის ოლქის ბორშჩევის პიონერთა სახლში მოწყობილ ზეიმზე. სამამულო ომის დროს ამ ქალაქის მისადგომებთან დაიღუპა ცხაკაიელი ტიტე წულაია და იგი აქ უკრაინის მიწაზე, საძმო საფლავშია დაკრძალული. ქართველმა მოსწავლეებმა ყვავილებით შეამკეს სამშობლოს თავდადებულ შვილთა საუკუნო განსასვენებელი.

გ. მილიუტინი,
„კომუნისტის" კორ.

მეგობრის ხსოვნას

გარდაიცვალა საქართველო[ს] სსრ დამსახურებული ჟურნა[ლი]სტი, 1940 წლიდან სკკპ წევ[რი], სსრ კავშირის ჟურნალისტთა კ[ა]ვშირის წევრი, რესპუბლიკურ[ი] მნიშვნელობის პერსონალური პ[ე]ნსიონერი შოთა ნიკოლოზის ძ[ე] **როსტომაშვილი.**

შ. როსტომაშვილი დაიბადა 1912 წელს ქ. თელავში, მასწავ[ლებლის] ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სკოლის დირექტორად, პარტიის ახმეტის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ. 195[...] წლიდან მუშაობას იწყებს თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორად. იყო საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი.

პარტიამ, მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ამაგდარი რედაქტორის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღემდე კვლავ რედაქციაში მუშაობდა და საქმის ცოდნით, უნარიანად უძღვებოდა რედაქციის სამდივნოს.

შ. როსტომაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებს, რაიონის მშრომელი ადამიანების გულში.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

13 აპრილი

მოსკოვი

პირველი პროგრამით: 9.00 — ვრემია, 9.55 — დოკუმენტური ტელეფილმი „გამარჯობა, დელფინო!", 10.10 — საბავშვო ფილმი „რეკავენ, კარი გაუღეთ", 11.25 — კომპოზიტორ ა. ნოვიკოვის სიმღერები, 12.30, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ერთიან ოჯახში", 16.35 — ო. სულეიმანოვი. პოემა „დედამიწავ, თაყვანი ეც კაცს!", 17.10 — ინდოელი მსახიობების კონცერტი, 17.40 — „შრომის გაკვეთილები", ახალგაზრდობისათვის შრომითი ჩვევების ჩანერგვის შესახებ, 18.25 — ქ. ალმა-ათის პიონერთა სასახლის ბავშვთა მხატვრული კოლექტივების გამოსვლა, 19.15 — სტადიონი ყველასათვის, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო, 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „ოფლითა შენითა". პირველი სერია, 22.00 — ვრემია, 22.35 — დოკუმენტური ეკრანი, 23.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამით: 9.00 — დილის ვარჯიში, 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი „მეტალურგ გოროხოვის გამოცდები", 9.35, 13.10 — საჭადრაკო სკოლა, 10.05, 12.05 — ფრანგული ენა, 10.35, 11.35 — ფიზიკა. მეათე კლასი, 11.05 — პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. ასტრონომია, 12.40, 13.40 — გეოგრაფია. მეექვსე კლასი. 14.10 — ვ. ლოგოვსკის პოეზია, 14.55 — ეკრანი — მასწავლებელს. ბოტანიკა. მეხუთე კლასი. 15.15 — ბუნებისმეტყველება. მეოთხე კლასი, 15.35 — იაროსლავ გაშეკი. ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები, 16.20, 19.00 ახალი ამბები, 19.15 — დოკუმენტური ფილმები, 20.10 — სიმღერა — 82, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — ხალხური მელოდიები, 21.30 — სპორტი გასულ კვირაში, 22.00 — ვრემია, 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „რაფერტი". პირველი სერია.

13 აპრილი

თბილისი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა დელფინო" (მ.), 10.10 — მოამბე", 10.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მიხეილ ჭიაურელი", 11.40 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი" — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „დათა თუთაშხია" — პირველი სერია, 12.50 — დოკუმენტური ფილმი — „ქართული რიტმები", 13.20 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 17.00 შევისწავლოთ ინგლისური ენა, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.05 — „ხალხური შემოქმედება" — „შუქი სულისა", თვითნასწავლი მხატვარი მ. დადიანი (განმეორებით), 18.25 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 18.55 — „ხომლი" — სატელევიზიო ლიტერატურული ჟურნალი, 20.00 — „მოამბე", 20.30 — „საგაზაფხულო კინოფესტივალი" — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — „დათა თუთაშხია" მეორე სერია, 21.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ახალგაზრდობისათვის — „სამშობლოა ჩვენი მეკვლე", „პოლიტექნიკოსი-81", 23.15 — ახალი ამბები, 23.30 — საესტრადო მუსიკის სატელევიზიო ფესტივალი „გაზაფხულის რიტმები".

მეორე პროგრამით: 16.40 — მოსწავლეთათვის — რადიოტექნიკა, 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.35 — მასწავლებლის საათი — ალგებრა, 18.20 — ქართული მხატვრული ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი", 19.55 — განცხადებები.

18 აპრილი

თეატრი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური (მე-18 აბონ. მეექვსე წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ათვინიერებენ მიმინოს; ქართული ფოლკლორის ტაძარი — ლენინგრადის ძველებური და თანამედროვე მუსიკის ორკესტრის კონცერტი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08203 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. დაბეჭდილია ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19